№ 3027
ოთხშაბათი,
15 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 3027
ოთხშაბათი,
15 მარტი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით", პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვენქის [illegible] ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

საჯარო ბიბლიოთ

1906 წელს

„ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ.

დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით ერთის წლით 6 მან.	საზღვარ-გარედ გაგზავნით ერთის წლით 11 მან.
ერთის თვით 50 კაპ.	ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა ხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.

ადრესი: Тифлисъ. редакція „Цнобисъ Пурцели".

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(დაარსებულია 1880 წელს)
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთა მიღება ყოველდღე, კვირეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი,

ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. ბავშვთა, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერიული და ქირურგიული ავადმყოფობანი.

ქ. ი. ზოლოტაველი: 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ა. ი. ტერ-ბინენა: 1½—2 ს. საბებიო და ქალთა ავადმყოფობანი.

გ. ი. მურზინოვი: 1—2 ს. ქალისა და საბებიო ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ა. მ. პუზინოვი: 5—6 ს. შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობანი და ყვავილის აცრა.

ნ. გ. იზიანცი: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი: 7—7½ ს.

რჩევა-დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის შეთანხმებით.

დირექტორი სამკურნალოსი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасархіана Тиф. кст. противъ памятника Воронцова. (წლ.)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივი საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. გ. ადამჯანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ტყავის ავადმყოფობანი.

ი. ნ. მზიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი ელექტრონით წამლობა.

ა. ნ. დოლიძოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

ა. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. ი. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. პ. ქიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ილზიოვი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ზიიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებითა სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო დარბაზს და ცალკე ოთახებს. (150—55)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

მედიცინის დოქტორი

გ. ა. ახვერდოვი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა მიღება საშარდეს და სიფილისიან ავადმყოფებისა, დილით 12—1 ს., საღამოთი 6—8 ს., კუკია. სემენოვსკის ქუჩა. № 20 (თ.—7)

მედიცინის დოქტორი

გრიგოლ იოსების ძე გურგენოვი,

რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკის შტატის ორდინატორად იყო, იღებს საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. ავადმყოფები მიიღება: დილით 10-დან 12-მდე; საღამოთი 5 დან 7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნიშა, საარტისტო საზოგადოების პირდაპირ. (30—53—22)

ქ. ბათუმში

ექიმი ა. ს. გეთანოვი

იღებს ავადმყოფებს (ქალის, საბებიო, შინაგანი სნეულ.) ვლადიკავკავის და ტფილისის ქუჩების კუთხე, კომერციულ ბანკის სახლში. (30—31.—14)

ექიმი

გ. ა. გიდალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე. საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (300—5.—48)

ივერია

5 მარტიდან გამოდის ყოველკვირეულ გაზეთად

შინაარსი:

№ 1. საქართველოს აკლება, ფ. გოგიჩაიშვილისა.—ღამე, ლექსი ი. ევდოშვილისა.—დღევანდელი ვითარება, სტუმრისა.—შავი დღეები, კ. ა—ისა.—გაკვრით, მოყვრისა.—რუსეთის ცხოვრება დეკემბრიდან დღემდის, ა—სა.—ეროვნული საკითხი ავსტრიაში, მ. აღ—ლისა.—„შილიონის პატიმრის" მიბაძვა, ტანისა, თარგ. დ. თომაშვილისა.—საკვირაო, ი. ევდოშვილისა.—დედაკაცი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნ. ტ—ისა.

№ 2. ბოიკოტი?—„ლომების" ბანაკში, ფ. გოგიჩაიშვილისა.—ძმობაც ასეთი უნდა, კ. ა—სი.—პროლეტარიატის დიქტატურა, ა. იზგოევისა.—თანამედროვე ვითარება, სტუმრისა.—ჰენრიხ ჰეინე, არტურ ლეისტისა.—სახელმწიფო დაზღვევა მუშებისა გერმანიაში, ა—ისა.—მომხმარებელი ამხანაგობა, ნ. ტ—ისა. ნამუს ახდილი, ვ. შალიკაშვილისა.

ფასი წლის ბოლომდის 3 მან., ცალკე ნომერი—10 კაპ. (2—2)

ზონის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წლიური საზოგადო კრება დანიშნულია კვირას, ამა წლის 26 მარტს, დილის 11 საათზე.

განსახილველი საგნები:

1. დამტკიცება 1905 წლის ანგარიშისა;
2. არჩევანი საბჭოს სამის წევრისა, გამგეობის თავმჯდომარისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა, მათის კანდიდატებით, ნაცვლად ვადა გასულთა.
3. არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა, რომელმაც სამსახურს თავი გაანება.
4. დამტკიცება 1906 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა. (6. 2—2)

ექიმი

გ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

ქ. ქუთაისში

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

იღებს ავადმყოფებს (ყური, ხელი, ცხვირი და შინაგანი სნეულებანი), პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვისა. (14—კვ.—12)

სახელმწიფო სათათბირო და ჩვენი ტაქტიკა

IV

(შემდეგი*).

ჩვენ უკვე საკმაოდ გამოვარკვიეთ საზოგადოებრივ ძალთა ის კომბინაცია, რომელიც გრ. ვიტტეს პოლიტიკამ მოახდინა და თებერვლის საკანონმდებლო დაწესებულებათა საძირკვლად იქმნა გადაქცეული. ჩვენ ვიცით, რომ ეს კომბინაცია არაა ბუნებრივი კავშირი ერთის ისტორიულ ფორმაციის საზოგადოებრივ ძალებისა სხვა მომქმედ ძალებთან საბრძოლველად, ვიცით, რომ ამ კავშირის დამყარება გამოიწვია ერთის მხრივ მემამულეების და ბურჟუაზიის შიშმა სოციალისტურ რევოლიუციის წინაშე და მეორეს მხრივ—მათმა იმედმა, რომ ბიუროკრატია მემამულეების და ბურჟუაზიის დახმარებით მოახერხებს რუსეთში წესიერების აღდგენას და უკიდურესს პარტიების ალაგმვას. ჩვენ გამოვარკვიეთ აგრეთვე, რომ მემამულეებისა და ბურჟუაზიის შუა არსებული ისტორიული ანტაგონიზმი ეხლავე ჩანს და ახლო მომავალში უფრო ცხადად გამოჩნდება, მაგრამ ყოველივე ეს კიდევ საკმაო არ არის ტაქტიკის აწინდელ საკითხების გადასაწყვეტად.

აქამომდე საზოგადოებრივ ძალებს ჩვენ ისე ვითვალისწინებდით, თითქოს თითოეული მათგანი სრულიად გათვითცნობიერებული ერთეული იყოს და შეგნებულად უკავშირდებოდეს განსაზღვრულ მიზნის ასასრულებლად სხვა საზოგადოებრივ ძალებს. საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობას რომ ასეთი ცნობიერებითი ხასიათი ჰქონდეს, სიტყვა „რევოლიუცია" სრულიად ამოიშლებოდა კაცობრიობის ისტორიიდან და ღრმესი ცვლილებანი სახელმწიფოებრივს და საზოგადოებრივის ცხოვრების ყოველთვის მშვიდობიანი შედეგი იქნებოდა სასტატისტიკო ცხრილებისა. მაგრამ რევოლიუციას სწორედ იმიტომ უჭირავს ესოდენ დიდი ადგილი განვითარების პროცესში, რომ ჩვეულებრივ არც ერთი საზოგადოებრივი ძალა არ წარმოადგენს დასრულებულს გათვითცნობიერებულს ერთეულს და თვით საზოგადოებრივ ძალთა კომბინაცია, უმთავრესად თუ არა, ყოველთვის თვალსაჩინოდ მაინც შეუგნებლად ხდება. სრულის შეგნებით საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე ჩვეულებრივ თითოეულ საზოგადოებრივ ძალის მცირეოდენი ნაწილი მოქმედობს, ეს შეგნებულად მომქმედი ძალა მატარებელია განსაზღვრულ პოლიტიკურ და სოციალურ იდეალისა; ვიდრე იგი თავის იდეალს განახორციელებდეს ან საბოლოოდ დაეთხოვებოდეს მას რაიმე მიზეზით, იგი აუცილებლად უკიდურეს პარტიის სახეს იღებს, სულ ერთია მემარჯვენე იქნება, თუ მემარცხენე. ჩვეულებრივ უკიდურესი მემარჯვენე პარტია დაკარგულ პოლიტიკურ ბატონობის აღდგენისთვის მეცადინეობს, მემარცხენე კი ჯერ განუხორციელებელ იდეალისთვის იბრძვის. რაც ხანი გადის, უკიდურესი მემარჯვენე საზოგადოებრივი ძალა უფრო და უფრო ეჩვევა თავის ბატონობა-დაკარგულს მდგომარეობას და ამიტომ თან და თან სუსტდება, პირიქით, უკიდურესი მემარცხენე ძალა უფრო და უფრო მეტად იმსჭვალება ახალის იდეალებით და ამიტომ ძლიერდება. სწორედ ესაა მიზეზი, რომ რუსეთში ამ ჟამად უკიდურეს პარტიების სახელწოდებით მხოლოდ სოციალისტურ პარტიებს იხსენიებენ, იმ პარტიას კი, რომელიც ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის დროშის ქვეშ სდგას და წარმოუდგენელის ენერგიით იბრძვის მახვილით და ცეცხლით ძველი რეჟიმის შესარჩენად, უკიდურეს პარტიის სახელით თითქმის არც კი არავინ იხსენიებს.

საზოგადოებრივ ძალების შეუგნებელი ნაწილი საყოველდღეო ინტერესების მორევშია ჩაფლული, პოლიტიკურს იდეალებს იმის თვალში თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, პოლიტიკურს ბრძოლას ის ყოველთვის გაურბის, როგორც რაღაც იმისთვის არა საინტერესო საქმეს. მხოლოდ მოპირდაპირე საზოგადოებრივ ძალების შეგნებულმა ნაწილებმა იციან, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებისათვის პოლიტიკას, და ამიტომ სწორედ ისინი იწყებენ პირველნი ერთმანეთთან გამწვავებულს ბრძოლას. ამ მხრივ თუ გავითვალისწინებთ პოლიტიკურ ბრძოლის ხასიათს, ადვილად შევიგნებთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ განვითარებისათვის ინტელიგენციას და რამდენად უსაფუძვლოა აზროვნების ის მიმართულება, რომელიც უარ-ჰყოფს ინტელიგენციის მნიშვნელობას საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობის განვითარებისათვის და მედიდურად ჰკადაგებს, ინტელიგენცია „ხალხს ჰკუიდან სდევნის", ხოლო „ჰკუას ხალხიდანაო" *).

საზოგადოებრივ ძალთა შეგნებულ ნაწილების ბრძოლა თავის თავად მეტად ძლიერი ფაქტორია შეუგნებელ ნაწილებში პოლიტიკურ თვით შეგნების შესატანად. რაც უფრო ძლიერდება და მწვავდება ბრძოლა მათ შორის, მით უფრო მარდად სწარმოებს ხალხის ფართო წრეების პოლიტიკური გათვითცნობიერება და ახალ-ახალი ჯგუფების ჩარევა პოლიტიკურს ბრძოლაში. ვიდრე პოლიტიკურ ბატონობის ან მხოლოდ პოლიტიკურ უფლებების მოსაპოებლად მებრძოლი საზოგადოებრივი ძალა პატარაა, იმის მოწინაღმდეგე, ე. ი. პოლიტიკურად გაბატონებულ საზოგადოებრივ ძალის შეგნებული ნაწილი, ენერგიულად სცდილობს ამ ბრძოლის ჩაფუჩჩებას, დამალვას, რადგან პოლიტიკურ ჰორიზონტის სიწყნარე იმისთვის საუკეთესო ყავარჯენია, ხოლო როდესაც ეს ბრძოლა ისე ძლიერდება, რომ იმისი დამალვა უკვე ყოვლად შეუძლებელია, თითონვე სცდილობს პოლიტიკურ ინდიფერენტიზმის გატეხას ერთის მხრივ მისთვის ხელსაყრელ პოლიტიკურ პროპაგანდის გაწევით და მეორის მხრივ თეთრის ტერორით. თეთრი ტერორი უკიდურესი საშუალებაა, უკანასკნელი ღონისძიებაა და ამიტომ ამ გზას მაშინ დაადგებიან ხოლმე, როდესაც ირკვევა, რომ პოლიტიკურს პროპაგანდას თავის თავად გასავალი არა აქვს და ნაყოფიერი არ არის.

რუსეთის ბიუროკრატიამ პოლიტიკური პროპაგანდა დიდი ხანია დაიწყო. ამ პროპაგანდით ბიუროკრატია სცდილობდა იმ საზოგადოებრივ კლასებში, რომელთა შეგნებული ნაწილიც მას ებრძოდა, ღრმად ჩაენერგა აზრი, რომ ისინი თავის კლასსიურ ინტერესებისთვის სწორედ ბიუროკრატიას უნდა მიენდნენ და სასტიკად უნდა სდევნონ ის ნაწილი თავის კლასსისა, რომელიც ბიუროკრატიის ეწინააღმდეგება. ამ განზრახვით იყო შექმნილი ზუბატოვის ორგანიზაციები, ამ განზრახვითვე დააარსა უკანასკნელ ხანებში ბიუროკრატიამ მუშათა „დამოუკიდებელ სოციალისტების" კლუბი. სწორედ ამ გვარი პოლიტიკური პროპაგანდაა ერთ-ერთი დიდ-მნიშვნელოვანი მიზეზი იმ უკულმართობისა, რომელსაც წარმოადგენს, მაგალითად, შავ რაზმებში მუშების შესვლა. მუშა-პროლეტარიატი, როგორც საზოგადოებრივი კლასსი, დღეს უპირდაპირესი მოწინააღმდეგეა ბიუროკრატიისა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ზოგ ადგილებში, მაგალითად ოდესაში, მუშათა ერთი ნაწილი ბიუროკრატიის ბატონობის გასაძლიერებლად იბრძოდა. ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ თვითშეგნებას და პოლიტიკურ პროპაგანდას! შეუგნებელი პროლეტარიატი ისეთის ერთგულებით გასწევს ჭაპანს რეაქციის გასაძლიერებლად და შეგნებულ პროლეტარიატის დასამარცხებლად, თითქოს პროლეტარიატი ერთს საზოგადოებრივს ძალას არ შეადგენდეს და თითქოს მართლა ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა იყოს იმის ერთი ნაწილისთვის ჭეშმარიტი პოლიტიკურ იდეალი.

საზოგადოებრივ ძალთა მიმართულების გამაუკუღმართებელი პოლიტიკური პროპაგანდა თავიდან ბოლომდე სიყალბეზეა აშენებული და ამიტომ იმისი ნაყოფიერება უეცრივ მტვრად იქცევა ხოლმე, გამოირკვევა თუ არა იმისი სიყალბე—და რომ ეს სიყალბე დიდ ხანს მაინცა და მაინც ვერ დაიმალება,—ეს თავის თავად ცხადია. ყველა პოლიტიკურს პროპაგანდაზე გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს მმართველობის ტერორს.

როდესაც გაბატონებული კლასსი ჰხედავს, რომ იმისთვის არა სასიამოვნო პოლიტიკური თვითშეგნება ხალხის ფართო წრეებში იკიდებს ფეხს და აშკარად მზადდება ნიადაგი საზოგადოებრივ ძალთა ისეთ პოლიტიკურის კომბინაციისთვის, რომელსაც იგი ვერ გაუძლებს და, მაშასადამე, ჰგრძნობს პოლიტიკურ დამარცხების მოახლოვებას, იმას სხვა არაფერი აღარ დარჩენია იმის მეტი, რომ ფიზიკურის სისასტიკით შეჰრას ხალხში, დაანახოს მას მთელი თავისი ფიზიკური ძლიერება და აგრძნობინოს, რომ ერთად ერთი საშუალება ხალხისთვის სიცოცხლის და ქონების შესანარჩუნებლად, მშვიდობიანობის და წესიერების დასაცველად არის მორჩილება ეხლანდელ პოლიტიკურ ბატონების წინაშე და სრული უარყოფა საზოგადოებრივ ძალთა ყოველის ახალის კომბინაციისა. ეს ფიზიკური სისასტიკე, ეს თეთრი ტერორი თუ ერთის მხრივ მონურ მორჩილების გრძნობას უკარნახებს ხალხს, მეორის მხრივ გულში მას სრულს უნდობლობას უნერგავს იმ პოლიტიკურად გაბატონებულ წრეებისადმი, რომელნიც მზად არიან ყველაფერი ანაცვალონ თავის ბატონობას. მმართველმა წრეებმა ყოველთვის მშვენივრად იციან, რომ თეთრი ტერორი ორ-თავიანი ჯოხია, იციან, რომ ამის გამო იმისი ხანგრძლივობა ყოვლად შეუძლებელია და ამიტომ ტერორის გამეფებასთან ერთად მეცადინეობენ ხალხს საშუალება მისცენ, თავისუფლად გამოათქმევინონ მორჩილების სურვილი. რა თქმა უნდა, აქ დიდი შინაგანი წინააღმდეგობაა და სწორედ ამ წინააღმდეგობის გამო ძალიან საჭიროა, მმართველმა წრეებმა მიზანს მიაღწიონ.

რუსეთის ბიუროკრატიამ, მოიხვეჭა რა ხელოვნურად მემამულეების და ბურჟუაზიის პოლიტიკური თანაგრძნობა, უმაღლეს წერტილამდე გააძლიერა ბრძოლა მოწინააღმდეგე საზოგადოებრივ ძალების შეგნებულ ელემენტებთან და ეს ბრძოლა გადაიტანა ამისთანავე შეუგნებელ საზოგადოებრივ ელემენტებზე. რათა ბიუროკრატიის ბატონობა ხალხისაგან „თავისუფლად" გამოთქმულს მორჩილების სურვილზე იქმნას დამყარებული, მოწვეულ იქმნა სათათბირო, რომლის კარიც მებრძოლ საზოგადოებრივ ძალების შეგნებულ ელემენტებისთვის პირდაპირ დახშულია და რომელსაც ბიუროკრატია ამავ თავით ავალებს გამოაცხადოს მორჩილების „ნებაყოფლობით" სურვილი თვითმპყრობელ ბიუროკრატიის ბატონობის წინაშე. ვიდრე ეს მორჩილების სურვილი არ იქნება გამოცხადებული, ბიუროკრატიას არ ძალუძს შეაჩეროს თეთრი ტერორი, რომელიც დიდს ხანს მაინც ვერ იბოგინებს და მალე აუცილებლად მოსპობილ უნდა იქმნას.

მემამულეებსა და ბურჟუაზიასთან შეკავშირებული ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა მხოლოდ მაშინ შექნება მკვიდრ ბატონობად, როდესაც იმისათვის ფიზიკური სისასტიკე საჭირო აღარ იქნება, პოლიტიკურ ბატონობისათვის ბრძოლა მოისპობა და ეგრედ წოდებული „წესიერება" დამყარდება. ეს ბიუროკრატიის დამამკვიდრებელი სასწაულები, მმართველ წრეების განზრახვით, უნდა მოახდინოს სახელმწიფო სათათბირომ. სათათბირომ საბოლოოდ უნდა გამოსტაცოს ხელიდან შეგნებულ მებრძოლ ელემენტებს შეუგნებელი ან ნახევრად შეგნებული საზოგადოებრივი ძალები. სახელმწიფო სათათბირო ამ მხრივ ბიუროკრატიის ხელში ისეთივე საიმედო საშუალებაა, როგორც ყალბი პოლიტიკური პროპაგანდა და ტერრორი. სათათბიროში საზოგადოებრივ ძალების შეუგნებელი ელემენტები მხოლოდ მემარჯვენეთა შეგნებულ ნაწილის განმარტოვებულს გავლენის ქვეშ იქნებიან, რადგან ბიუროკრატია შეგნებულს მემარცხენეებს იქ ცხვირის გულისათვის არ შეუშვებს ან თუ შეუშვებს—ძალიან ცოტას. ასეთს პირობებში სათათბირო აუცილებლად ბიუროკრატიის მონა-მორჩილი გახდება, შემდეგ ამ მორჩილებას დაიხვევს იგი ხელზე და იმის წყალობით ეხლანდელ შეუგნებელად მოწინააღმდეგე საზოგადოებრივ ძალებს გადააქცევს შეგნებულად მორჩილ ხალხად.

ჩვენ ნათლად უნდა გვქონდეს გათვალისწინებული ბიუროკრატიის პოლიტიკა, ნათლად უნდა გვესმოდეს, რის იმედი აქვს იმას ან რაზე ამყარებს ამ იმედებს და ამისდა მიხედვით უნდა გადავწყვიტოთ ტაქტიკური საკითხი სათათბიროში მონაწილეობის შესახებ. ჩვენი ტაქტიკა ბიუროკრატიის პოლიტიკის პასუხი უნდა იყოს, მაშასადამე, იგი ერთის მხრივ მიმართული უნდა იყოს სახელმწიფო სათათბიროს ავტორიტეტის გატეხისაკენ და მეორის მხრივ საზოგადოებრივ ძალთა გათვითცნობიერებისა და მათის ახალის კომბინაციის მოხდენისაკენ.

(დასასრული იქნება)

დასავლეთ საქართველოში

ბათუმი. დაბა-ქალაქების გადაწვამ დასავლეთ საქართველოში დამზღვევი საზოგადოებანი დააფიქრა. თუმცა დამზღვევ საზოგადოებათა უმეტესი ნაწილი, წესდების ძალით, მოვალენი არ არიან ის ზარალი გადაიხადონ, რომელიც მომხდარია „ხალხის აჯანყებისა და არეულობის დროს", მაგრამ დღევანდელ პირობებში მომხდარ ზარალს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ხალხის აჯანყებასთან; პირიქით, იმ დროს, როცა გადაიწვა ის სახლები, რომელიც დამზღვევ საზოგადოებაშია დაზღვეული, ხალხი მიყუჩებული იყო და მორჩილების მეტს არაფერს აცხადებდა. ამ გარემოებამ შეაფიცხუნა ზოგიერთი დამზღვევი საზოგადოება და თავის აგენტები გაგზავნეს ზარალის ცნობაში მოსაყვანად. ერთს ამ გვარ აგენტს ცნობები შეუკრებია ამის შესახებ დასავლეთ საქართველოში. იმის აზრით, მის საზოგადოებაში დაზღვეულ იმ სახლებისა და საქონლის ღირებულება, რომელიც ცეცხლის მსხვერპლად შეიქნა იანვრისა და თებერვლის განმავლობაში, 200,000 მანეთს აჭარბობს. მიიღეთ მხედველობაში, რომ დასავლეთ საქართველოში რამდენი დამზღვევი საზოგადოება არსებობს, ნურც იმას დაივიწყებთ, რომ დამწვარი სახლები და საქონელი მრავალ შემთხვევაში დაზღვეული არ არის და მაშინ მიხვდებით, რომ მარტო დაბა-ქალაქების ზარალი მილიონებით უნდა ვიანგარიშოთ. რაც სოფელს დააკლდა, ის კიდევ სხვა იქნება.

სოხუმში შეპყრობილი გ. მჭედლიძე ბათუმის ციხეშია დატუსაღებული. როგორც ამბობენ, იმის საქმეს მარტის განმავლობაში გაარჩევს სამხედრო სასამართლო. იგივე სამხედრო სასამართლო განიხილავს ამ

---

*) იხ. „ცნ. ფურ." № 3025.

*) ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები და ამ სიტყვებით გამოთქმული აზრი „კვალის" ერთ-ერთ მეთაურ წერილიდან არის ამოღებული. სამწუხაროდ, ამ ჟამად თვით „კვალი" ხელთ არა გვაქვს და არ შეგვიძლიან ზეპირად დავასახელოთ რომელ ნომერში შეგვხვდა სახელდობრ ეს სიტყვები.

ცოტა ხანში ბენია ჩხიკვიშვილის საქმეს. ბენია ჩხიკვიშვილი დღესაც ოზურგეთის საპყრობილეშია დაპატიმრებული.

გლეხთა მოძრაობამ წარსულის წლის განმავლობაში თავისი გავლენა იქონია სახელმწიფო მამულების შემოსავალზე. სახელმწიფო მამულების გამგეობასთან დაახლოვებულმა კაცმა გადმოგვცა, რომ შემოსავალმა შარშან თითქმის ოთხჯერ იკლოვო. წინა წლებში ორთა შუა რიცხვით თვიური შემოსავალი 25 ათას მანეთზე მეტი ნაკლები არა ყოფილა, ხოლო შარშან თვიურ შემოსავალს 6.000 მანეთამდე დაუწევია. მიუხედავად ამისა ხალხს მრავალი ხე-ტყე გამოუტანია სახელმწიფო ტყეებიდან და რაც გამოუტანია და გაუსაღებია, ის ხომ შერჩენია და რაც არა, სახელმწიფო საქმეთა გამგეობის აგენტები დაპატრონებიან, ხოლო ტყის გამომტანები სამართალში მიუციათ. როგორც გვითხრეს, იანვარს აქეთ მრავლის უმრავლესი პროტოკოლები შესდგა და გადასცემენ თუ არა სასამართლოს ამ პროტოკოლებს, შესდგება გაუთავებელი პროცესები გლეხთა და სახელმწიფო ქონებათა გამგეობას შორის.

ქუთაისის ქუჩაზე არსებობს მაჰმადიანების მეჩეთი აზიზიე, რომელსაც საკმაო ადგილი აქვს მეჩეთის მახლობლად. ამ ადგილს დიდი ხანია ესახიჩრებს ორი ნაჭერი მიწა, რომელიც ქალაქს ეკუთვნის. ქალაქს აშენებული აქვს ორი კარგა მოძველებული შენობა და წლიურად 500 მანეთამდე შემოსავალი აქვს. ადგილობრივ მაჰმადიანებს განზრახვა აქვთ თურმე შუამდგომლობა აღძრან ქალაქის საბჭოს წინაშე, რომ ქალაქის ზემოხსენებული ადგილები მეჩეთს დაუთმონ უსასყიდლოდ და ამით გააერთიანონ ადგილი. დარწმუნებული ვართ, რომ ასეთს შუამდგომლობას მაჰმადიანებისას ქალაქი შეიწყნარებს.

—

ამავე აზიზიეს მეჩეთთან არსებობს სასწავლებელი, რომელიც ახალგაზდა მაჰმადიანებს ამზადებს სასულიერო მოღვაწეობისათვის. სასწავლებელი მეტად მოუწყობელია სიღარიბის გამო და 30 კაცი მოთავსებულია ერთ პატარა ოთახში. არც ღმერთი და არც კაცი არ დაიწუნებს, რომ ქალაქმა დახმარება გაუწიოს ამ სასწავლებელს, მით უმეტესად ამისათვის დიდი ფული არ დასჭირდება. წლიური დახმარება 500 მანეთით საგრძნობლად გააუმჯობესებს სასწავლებლის საქმეს. საზოგადოდ-კი ის აზრი უნდა გამოვთქვათ, რომ მაჰმადიანები უფრო მეტის ყურადღების ღირსნი არიან ქალაქის თვითმართველობის მხრივ, ვიდრე აქამდის იყვნენ.

ქართლში

ს. ლამისყანა (გორის მაზრა). სოფელი ლამისყანა ადმინისტრაციის მიერ ნიშანშია ამოღებული და მთელს მაზრაში სამი სოფელი არ მოიპოვება ისეთი, სადაც ასეთის სისასტიკითადა დაუნდობლობით მოჰკიდებოდნენ მცხოვრებთ. პირველად, როცა რეაქცია ცეცხლითა და მახვილით ჩვენს ქვეყანას შეესია, აქაც, როგორც მკითხველთ იციან, იყო ჯარი, მცხოვრებნი დასჯილ იქმნენ, ყველა საერობო და სახელმწიფო გადასახადები აჰკრიბეს და რამდენიმე კაციც დააპატიმრეს. ამის შემდეგ მცხოვრებთ ეგონათ, მშვიდობიანი ცხოვრება დამყარდებოდა ლამისყანასა და სხვა სოფლებში, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ, რადგან ჯარი დღესაც სოფელ ქალაში სდგას და დრო-გამოშვებით ყველა სოფლებს ესტუმრება, შიშს ამეფებს მცხოვრებთა შორის და ისევ სოფელ ქალაში მიდის.

ბოლო ხანამდე ხალხს შიშის ზარსა სცემდა ის გარემოება, რომ მცხოვრებთ გადაჰკრით გამოუცხადეს: ყველაფერი გაჰყიდეთ და ლამისყანიდან გადასახლდითო. ხალხი თრთოდა, შიშით კანკალებდა. არ იცოდა, თუ ასეთის სასტიკის სასჯელით რად ემუქრებოდნენ. დეპუტაციას დეპუტაციებზე ჰგზავნიდნენ ხან გუბერნატორთან, ხან ნამესტნიკთან და ასეთ სასჯელის აცილებას სთხოვდნენ, მაგრამ სანუგეშოს ვერსაიდან რას იტყობდნენ.

გულ-დამწვარ ხალხს ძლიერ ენანებოდა შეჩვეულ კარ-მიდამოს დატოვება და უკვალოდ გადაკარგვა, და ორ ცეცხლ შუა იყო. მცხოვრებნი სოფლიდან ერთიან გაიხიზნენ, ზოგმა ნათესავებში შეაფარა თავი სხვა სოფლებში, ზოგნი ტყეებსა და მინდვრებში გაიხიზნენ. სოფელში დარჩა მხოლოდ რამდენიმე კაცი, რომელნიც უპატრონოდ დატოვებულ სახლებს ჰყარაულობდნენ.

ასეთ მდგომარეობაში იყო ხალხი, რომ 5 მარტს თავად ალექსანდრე ივანეს ძე ჯამბაკურიან-ორბელიანისაგან სოფელს ცნობა მოუვიდა: ყველაფერი გეპატიებათ, აღარ გადაგასახლებენ და შეგიძლიანთ მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდეთო. ეს ამბავი ელვის სისწრაფით გაიგო ყველამ. 5-სა და 6 მარტს გახიზნულნი სოფელში დაბრუნდნენ. ამ ორის დღის განმავლობაში ირგვლივ ყველგან დაინახავდა ადამიანი ბარგი-ბარახანით დატვირთულ ურმებს, რომლებსაც ლამისყანელები, ქალები და კაცები, ბავშვები და მოხუცები—მისდევდნენ.

6 მარტს ბევრი გლეხი სამუშაოდ გავიდა და ვენახებისა და მიწების დამუშავებას შეუდგა.

ხან მოკლე იყო ხალხის სიხარული: 7 მარტს ქალიდან ყაზახთა უფროსი ბელოვი 10 ყაზახით ეწვია სოფელს და სულ აბირებული მოთხოვნილება წარუდგინა მცხოვრებთ: აქ წითელი რაზმი იყო, რომელმაც რამდენიმე კაცი მოჰკლა; თქვენ უნდა მაჩვენოთ რაზმის მიერ მოკლულ კაცთა საფლავებიო. ხალხი ეფიცებოდა, არა ვიცით რაო, მაგრამ ყაზახთა უფროსმა ბელოვმა ხალხი შეტუქსა და შემდეგ უბრძანა, ნიჩბებით, ბარებით და თოხებით წაჰყოლოდნენ და საეჭვო ადგილები ამოეთხრათ მოკლულთა საფლავების საპოვნელად. წავიდა ყველა, ვისაც კი წასვლა შეეძლო, და ქალაში ბევრი ადგილები გადასთხარეს, მაგრამ ვერა იპოვნეს-რა. ამ დღემ ასე ჩაიარა. მეორე დღეს ასევე გაგრძელდა.

ასეთია ხალხის ვითარება აქეთ და ხალხს რა მოელის, ძნელი გამოსაცნობი აღარ არის.

9 მარტს დუშეთის საპყრობილედამ მცხეთაში წაიყვანეს 10 პოლიტიკური პატიმარი, რომელნიც ადმინისტრატიულის წესით ცივ ადგილებში იგზავნებიან. მათში არიან: ლადო გურგენიძე, გერასიმ კარაპეტოვი, ბესო სისაშვილი და სხვ. **აქაური.**

შმიდტის და სამი მატროსის დახვრეტა

დასრულდა საზარელი, გულის-ამღვრევი ტრაგედია. ოთხი გმირი კიდევ გამოასალმეს წუთი-სოფელს, ოთხი სულით მაღალი და გულით მდიდარი კაცი კიდევ გაისტუმრეს იქ, სადაც მთელი საუკუნის განმავლობაში არა ერთი და ორი ადამიანი გაუსტუმრებიათ. და ეს ამბავი მოხდა მაშინ, როდესაც თითქმის მთელი რუსეთი ევედრებოდა გაბატონებულთ, ნუ იზამთ მაგისთანა საქმეს, ნუ მოუსპობთ სიცოცხლეს მებრძოლთაო. შმიდტთან ერთად სიცოცხლე მოუსპეს სამ იმის ამხანაგ გმირს, სამ მატროსს: ჩასტნიკს, გლადკოვს და ანტონენკოს.

რუსულ გაზეთებში აწერილია უკანასკნელი წუთები ამ წამებულებისა. ოთხივენი დახვრიტეს ჩამოხრჩობის ნაცვლად. ადმირალმა ჩუხნინმა ის „მოწყალება“ მოიღო მხოლოდ, რომ ჩამოხრჩობა დახვრეტად შეუცვალა. ეხლა, „რუს.“-ის სიტყვით, ირკვევა, რომ ჯალათი ვერ უპოვნიათ და ამიტომ დაუხვრეტიათ ჩამოხრჩობის ნაცვლად. წამება მოხდა შავ-ზღვაში, უკაცო კუნძულ ბერეზანზე, რომელიც ოჩაკოვიდან ოცი ვერსის მანძილზე მდებარეობს. კორესპონდენტი ასე აღწერს ამ ტრაგედიას:

„არ გასულა რამდენიმე საათი შმიდტისა და მატროსების დახვრეტის შემდეგ, რომ მეც მივედი ოჩაკოვზე. ბევრ სახლზე მგლოვიარობის ნიშნად შავი დროშები იყო გადმოკიდული. ბევრი დარწმუნებული იყო, რომ შმიდტსა და მატროსებს სიკვდილს სხვა რამ სასჯელზე შეუცვლიდნენ. როდესაც ხმა გავარდა, რომ ადმირალმა ჩუხნინმა დაამტკიცა განაჩენი სიკვდილით დასჯის შესახებ, ყველას ელდა ეცა. ჩუხნინმა თავის ნებითა და სურვილით უყურადღებოდ დასტოვა დამცველთა საკასაციო საჩივარი და დაამტკიცა განაჩენი მებრძოლთა სიკვდილით დასჯის შესახებ. ჩუხნინმა შმიდტს ჩამოხრჩობა დახვრეტად შეუცვალა, უმთავრესად იმიტომ, რომ სპეციალისტი ჯალათი არსად იყო. განაჩენი შმიდტმა და იმის ამხანაგებმა აუღელვებლად მოისმინეს. მატროსებმა სთქვეს, მეტს არც მოველოდით ჩუხნინისაგანაო. შმიდტს არ მოჰშორებია იმისი ამხანაგი და დამცველი ვინბერგი. შმიდტი მერე დიდხანს ტიროდა, ინანებდა მატროსებს და ამბობდა, „ესენი სრულიად ახალგაზდები არიან, კარგი და პატიოსანი ხალხია. მე მინდოდა, მარტო გამოვსალმებოდი ამ ქვეყანას, მაგრამ მაგათაც თან მაყოლებენ. ესენი უდანაშაულონი არიანო“. ვინბერგსაც ცრემლები ჩამოსდიოდა თურმე. შემდეგ შმიდტს უთქვამს: „ჩემზე ჭორი გაავრცელეს. სთქვეს, ვითომ მებრძანებინოს, რომ „ოჩაკოვიდან“ ესროლათ. ეს ცილის წამებაა, მე არც ერთი კაცი არ მომიკლავსო“. უკანასკნელი წუთები შმიდტმა წერილების წერაში გაატარა. სწერდა თავის დას, შვილს. 3½ საათზე შმიდტი და მატროსები საიდუმლო კარით ბარჟაზე გადასხეს და კუნძულ ბერეზანზე წაიყვანეს.

როდესაც კუნძულზე მივიდნენ, ოთხი საათი იყო. ზღვა წყნარად გამოიყურებოდა. ის იყო რიჟრაჟდებოდა. წინა ღამესვე კუნძულზე ჯარი გადაასხეს. არ დააკლეს ზარბაზნებიც-კი. კუნძულზე დაჰხვდათ გემის „პრუტის“ უფროსი და აფიცრები, ჟანდარმის როტმისტრი, მღვდელი, ოთხი უკვე დამზადებული კუბო, ბოძები და რკინის ნიჩბები. შმიდტისა და იმის ამხანაგების დახვრეტა ებრძანა საკანონერო ნავის „ტერეც“-ის მატროსებს, სამოც კაცს, სულ ახალგაზდებს. ეს მატროსები ორმოცდა ათ ნაბიჯზე იდგნენ ბოძებიდან. უკან მატროსებს შეიარაღებული ჯარი დაუყენეს, ალბად, არა მოხდეს-რაო. არც სალდათებს და არც მატროსებს არ უთხრეს თურმე, სად და რა საქმისთვის მიჰყავდათ. იქვე ზღვაში იდგა „ტერეცი“, რომელსაც ზარბაზნები კუნძულისკენ მიეშვირა.

ოთხივენი ბოძებთან დადგნენ. იქვე ეყარა კუბოებიც. ოთხივენი გმირულად დაჰხვდნენ სიკვდილს. ერთი საყვედურის სიტყვაც არ დაუძრავთ, ცრემლიც-კი არ გადმოუგდიათ. უკანასკნელ სიტყვაში შმიდტმა ითხოვა სალამი გადაეცათ შავი-ზღვის ფლოტისა, რუსეთის მეზღვაურთა და სავაჭრო ფლოტისთვის. როდესაც შმიდტი და მატროსები ერთმანეთს ეთხოვებოდნენ და ჰკოცნიდნენ, ყველას ცრემლი მოერია. შმიდტი ამშვიდებდა ამხანაგებს და ეუბნებოდა: „გაიგეთ, ძმებო, რა დიად საქმისთვის ვიღუპებით. ეს საქმე თავისუფლებაა. ქრისტე სარწმუნოებისთვის ეწამა, ჩვენ—სიმართლისთვის“. როდესაც მღვდელმა ჰკითხა შმიდტს, ხომ არ ეზიარებითო, ამ უკანასკნელმა მიუგო: „ვეზიარებით, მამაო, თუ სახარებაში გვაჩვენებთ ისეთ ადგილს, სადაც ნათქვამი იყოს, რომ ხალხის მოკვლა შეიძლებაო“... მღვდელი დაიბნა. პირველად ბოძთან მივიდა მატროსი გლადკოვი და სთქვა: „შემკარით, მე მზადა ვარო“. შმიდტი ნელის ნაბიჯით მიუახლოვდა ბოძს, მოტრიალდა და გადაჰხედა მატროსებს, რომელნიც თოფებს ამზადებდნენ. თვალი მოჰკრა კუბოებსაც. იმდენიც-კი არ იფიქრეს, რომ ეს კუბოები აეღოთ. შმიდტს ამაყად და მშვიდობიანად ეჭირა თავი. ქუდი არ ეხურა და საცვლებში იყო მხოლოდ. წინადვე სთხოვა, ბოძზე ნუ მიმაკრავთო.

გაისმა სროლის ხმა. პირველი ტყვიები ანტონენკოსა და ჩასტნიკს მოჰხვდა. ტყვიებმა თოკები დაწყვიტა და ორივენი წაიქცნენ. მეორე სროლის დროს გლადკოვი წაიქცა. ბოლოს მესამედ შმიდტიც გამოესალმა წუთი-სოფელს. ოთხი კუბო ერთ საფლავში ჩასდეს. კუნძულზე დარაჯი დააყენეს.

ამ რიგად გამოასალმეს სიცოცხლეს ოთხი მებრძოლი, რომელთაც თავისუფლებას შესწირეს ყველაფერი. ეს ამბავი დილის 4½ საათზე მოხდა. გავიდა ცოტა ხანიც და ახლად ამოცურებულმა მზემ თავისი დიდებული სხივები მიაფინა წამებულთა საფლავს. 12 საათზე „პრუტი“ დაიძრა. იმას უკან გაჰყვა „ტერეცი“, რომელზედაც კატორგაში გასაგზავნი სტუდენტი და სხვა მატროსები იყვნენ.

ასე დასრულდა ტრაგედია.

მაგრამ ასე არ დასრულდება ამ ტრაგედიის მომქმედთა საქმე. ეხლავე იმის აქეთ-იქიდან ხალხის დრტვინვის ხმა. ცოტა ხნით მიწყნარებული ზღვა კვლავ აღელდა, კვლავ იმის აზვირთებული გუგუნი. „რუს. გაზეტა“-ს სიტყვით, მატროსებს შორის უკვე დაიწყო მითქმა-მოთქმა, არეულობა, დიდ გემებზე „პატიომკინ“-სა, „ჩესმა“-სა, „ეკატერინა“-სა და „როსტისლავ“-ზე შმიდტისა და იმის ამხანაგების ჩამოხრჩობამ ერთი აურ-ზაური ასტეხა. რათა ყოველ შემთხვევისთვის მზად ყოფილიყვნენ, მატროსებს ზარბაზნებისთვის კლიტეები აუცლიათ. „პატიომკინის“ მატროსებმა უარი განაცხადეს ნაპირზე გადასვლისა. ამ მატროსებს დაპატიმრებას უპირებდნენ. მატროსებმა არც აფიცრები გადაუშვეს ნაპირზე. სევასტოპოლიდან სიფრთხილისთვის გაისტუმრეს სათადარიგო ჯარის-კაცები, როგორც მოუსვენარი ხალხი. ფლოტის ეკიპაჟების შენობის პირდაპირ თორმეტი ზარბაზანი დადგეს.

დიახ, შმიდტი და სამი იმისი ამხანაგი დახვრეტის შემდეგაც არ აძლევენ მოსვენებას ამა ქვეყნის ძლიერთა...

კუნძული, სადაც წამებულთ სიცოცხლე დალიეს, კარგა მოზრდილია: სიგრძე 25 ვერსი ექნება, სიგანე—ორი. დღემდე არავინ სცხოვრობდა, დღეს-კი შმიდტისა და სამი იმისი ამხანაგის საფლავია იქ.

ახალი ამბავი

◆ **პარტიები და რკინის გზის მოსამსახურენი.** ზოგიერთი რკინის გზა შე[illegible]

ფელეტონი

სოციალდემოკრატია და მუშათა მოძრაობა

თავი პირველი

საფრანგეთის სოციალდემოკრატია

VII

(შემდეგი *)

ნუ თუ მილლერანი შემთხვევითი მოვლენაა იმ პარტიის ცხოვრებაში, რომლის წარმომადგენელსაც შეუძლია პარტიის სახელით ისეთი სიტყვები წარმოსთქვას, როგორიც ზემოდ მოვიყვანეთ? სრულიადაც არა. მილლერანი საფრანგეთში ისე, როგორც ბერნშტეინი გერმანიაში, არის შედეგი მთელის სოციალდემოკრატიულ ტაქტიკურ უკუღმართობისა. „მილლერანიზმი“ ბუნებრივი შედეგია ისეთ „კარგ და შეურყეველ“ სოციალისტების პროპაგანდისა და მოქმედებისა, როგორნიც არიან გედი და მისი ამხანაგები. აგრეთვე გერმანიაში ბერნშტეინი, ფოლმარი, დავიდ, ჰეინე და სხვები მკვიდრი შვილები არიან „მართლმორწმუნე“ კაუტსკისა, ბებელისა, ლიბკნეხტისა და მთელ „წმიდა ძმობის“ განუყრელ ამხანაგობისა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჩვენს ამგვარ აზრს, ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალით შეხედავენ, მაგრამ, საბედნიეროდ, დაცულია დოკუმენტები, რომელთა მეოხებითაც ყოველთვის შეიძლება ამ აზრის საბუთიანი გამართლება. ეს დოკუმენტია ეგრედ წოდებული სენ-მანდეს სიტყვა—პროგრამა, წარმოთქმული ალექსანდრე მილლერანის მიერ შეერთებულ პარტიის წინაშე.*) ეს დოკუმენტი ცხადად ამტკიცებს, რომ თუმცა გედმა და ძმათა მისთა დიდი ყაყანი შეჰქნეს, როცა საქმე გაფუჭდა, საქმის გაფუჭებამდი, ე. ი. 1893—1897 წლის დამლევამდე ყველა ფრანგი სოციალისტი მილლერანისტი იყო.

მართლა და რა არის მილლერანიზმი ან ის, რასაც ამ ბოლო დროს მილლერანიზმი ეწოდება? კულტურული სოციალიზმი. მილლერანი შორეულ მომავლისათვის სოციალიზმს დღესაც არა ჰყოფს უარს, არა ჰყოფდა უარს მაშინაც, როცა მინისტრის პორტფელი ეჭირა ხელში. შორეულ მომავლისათვის სახელმწიფოებრივი სოციალიზმი და გედის სოციალიზმი მას მერმედ, რაკი მან გარკვევით სოციალ-დემოკრატიული ხასიათი მიიღო, სახელმწიფოებრივი იყო, არ ჰყოფს უარს არც დღევანდელი წევრი სარიენის სამინისტროსი სოციალისტი ბრიანი. მილლერანი აღიარებდა, დემოკრატიის გამარჯვებას ის შედეგი მოჰყვა, რომ ყოველი ძალადობით მომხდარი რევოლიუცია მეტი ან არა სასურველი გახდაო. იმის აზრით, დემოკრატიამ ისეთი იარაღი მისცა მუშა ხალხს ხელში, რომლის საშუალებითაც ის უსათუოდ მიაღწევს თავის სურვილს. ამ სურვილის მიღწევისთვის ორი რამ არის საჭირო: ა) ხელი შეუწყოთ კაპიტალისტურ წესწყობილების მომწიფებას, რომ იგი, რაც შეიძლება მალე, მივიდეს თავის თავის უარყოფამდე, ამისთვის საჭიროა მუშათა და, საზოგადოდ, სოციალური კანონმდებლობა და ბ) რომ იმ პარტიის წარმომადგენლებმა, რომელიც უფრო დაინტერესებულია კაპიტალიზმის უარყოფაში კოლლექტივიზმით, რაც შეიძლება მალე ჩაიგდონ ხელში სახელმწიფო მანქანა, რომ ეს გარდამქნელი პროცესსი, რამდენადაც შესაძლებელია, ააჩქაროს. ორივე მიზნის მისაღწევად „მხოლოდ ლეგალური იარაღი—საერთო საარჩევნო უფლება“ არის საჭირო, აი დედა აზრი მილლერანიზმისა. შეადარეთ ამას გედის ის სიტყვები, რომელიც ზევით მოვიყვანეთ და ნახავთ, რომ მილლერანი მხოლოდ იმეორებს თავის მასწავლებლის და აღმზრდელის გედის სიტყვებს.

ყოველი საძაგლობა შეგვიძლია შევწამოთ მილლერანს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი სოციალისტი არ არის, ბურჟუაა, რადიკალია, ლიბერალია, მაგრამ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ მასთან ერთად მთელი საფრანგეთის სოციალდემოკრატია იყო ბურჟუა, რადიკალი, ლიბერალი. მილლერანის ერთად-ერთი კარგი მხარე ისაა, რომ თავისი პროგრამა არასოდეს არ დაუმალავს და თუ ის ისე ცუდი არის, როგორც გედისტები ამბობენ, ისიც სთქვან, კვერს რად უკრავდნენ, რად აქეზებდნენ რევოლიუციის და სარევოლიუციო ზომების უარყოფაში? თუ ისინი მინისტერიალიზმის მართლა ისეთნი მტერნი იყვნენ, რად ალუდგნენ პარტიაში ამ ტენდენციის ნელნელა შემოსვლას, რად შეჰქნეს თვითვე ის თეორიული მოსაზრებანი, რომელთაც პარტია ფატალურად მინისტერიალიზმის პრაქტიკამდე უნდა მიეყვანა? რად დახატეს დემოკრატია პანაცეიათ, რად შეეცადნენ, რომ ჩაენერგათ ხალხში დემოკრატიის კულტი, როცა 15—20 წლის წინად თვითვე აღიარებდნენ მას ხალხის გასაბრიყვებლად მოგონილ იარაღად, თუ თვითვე არ ჰქონდათ გულში სურვილი მინისტერიალიზმის გზაზე დადგომისა? *)

სად იყო შეერთებული პარტია, მომქმედი გედის თაოსნობით, როცა ჟორესი კიდევ 1895 წ. აცხადებდა: „ფაქტიურად ის კოლლექტივიზმი, რომლის განხორციელებაც ჩვენ გვსურს ეკონომიურ ნიადაგზე, პოლიტიკურ ნიადაგზე უკვე არსებობს“-ო? *) თუ არ დავივიწყებთ, რომ ჟორესს საფრანგეთის ცენტრალისტური რესპუბლიკა ჰქონდა სახეში, სრული უფლება გვაქვს ზემო მოყვანილ სიტყვებიდან ის აზრი გამოვიყვანოთ, რომ პარტია ესწრაფებოდა საფრანგეთის პოლიტიკურ ცენტრალიზაციისთვის ზედ დაემატნა ეკონომიური ცენტრალიზაცია. ჟორესი, როცა ამ სიტყვებს სწერდა, წევრი იყო შეერთებულ სოციალისტთა საპარლამენტო ჯგუფისა. მოსთხოვეს ჟორესს ანგარიში ასეთის აზრის პარტიულ აზრად დასახვისათვის? რასაკვირველია, არა და ეს იმისათვის, რომ მაშინ მთელი პარტია ასე ფიქრობდა. სად იყო პარტია, როცა ა. მილლერანმა თავისი ცნობილი სენ-მანდეს სიტყვა—პროგრამა წარმოსთქვა? გავჩერდეთ ამ კითხვაზე.

სოციალისტური ადაპი იყო. კარგი ლაზათიანი სადილი მეცნიერულ სოციალიზმის წარმომადგენელთაც უყვართ ხოლმე. მაგრამ „მეცნიერული“ სადილი ბურჟუაზიულ სადილისაგან იმით განირჩევა, რომ იქ სადილის ბოლოში უსათუოდ პროლეტარიატი და მისი ვაგლახი სვე-ბედი უნდა მოიგონონ ხოლმე და საშველად რამე პროგრამა შესთხზან. ვინ არ არის გულ კეთილი მაშინ, როცა „ყელთამდე მაძღარია“? აგრე იყო აქაც. გულ მაძღრები შეუდგნენ პროლეტარიატის გაბედნიერებას. სოციალისტთა შეერთების ქარი ჰქროდა მაშინ. აქ იყო გედთან ერთად ვალიანიც. შეერთების ნიადაგის გარკვევა და დამყარება ა. მილლერანმა, „უძლიერესმა იურიდიულმა ორატორმა“ იკისრა და წარმოსთქვა თავისი სიტყვა-პროგრამა, რომელმაც შემდეგში ისეთი სახელი მოიხვეჭა. რა სთქვა მილლერანმა ამ სიტყვაში? აქ მან ცხადად, გარკვეულად, აშკარად დასვა თავისი მინისტრობის კანდიდატურა. და მერე გაუწია ვინმემ კამათი? არა. მართალია გედმა სიტყვის თქმის უფლება აიღო, მაგრამ არა იმისთვის, რომ მილლერანისთვის კამათი გაეწია, არა იმისთვის, რომ ის ოპორტიუნიზმის ფილოსოფია, რომელიც მილლერანმა წამოაყენა წინ, როგორც გამოხატულება დამსწრეთა აზრთ გამოხატულებად, არამედ იმისათვის, რომ კვერი დაეკრა იმის სიტყვებისათვის, მიემატებინა რამდენიმე სიტყვა იმავე აზრთ მიმდინარეობაში და კიდევ იმისათვის, რომ .....რამდენიმე კომპლიმენტი ეძღვნა „უძლიერეს იურიდიულ ორატორისთვის“, კიდევ იმისთვის, რომ... გადაეკრა იმ ერთობის სადღეგრძელო, რომელიც დამყარდა მილლერანის მიერ გარკვეულ ნიადაგზე.

„კოლლექტივიზმს არა აქვს პრეტენზია, ამბობდა მილლერანი თავის სიტყვა-პროგრამაში,—მოაბრუნოს ისტორიის ჩარხი და ან შეაჩეროს კაცობრიობის გარდაქმნის საქმე. პირიქით, იგი იხრება (пригибается) ამ ისტორიის მოთხოვნილებისამებრ. და რადგან სოციოლოგიური კანონი ევოლიუციისა ისეთია, რომ წარმოებისა და გაცვლის (обмѣнъ) იარაღების კერძო საკუთრება უნდა შეიცვალოს სოციალისტურზე, კოლლექტივისტთა პრეტენზია მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ იმასდა მიხედვით, თუ როგორ ეწეობა მსხვილი კაპიტალისტური წარმოება, რომელიც თავის სხივთა ფრქვევით აშრობს და ჰკლავს წვრილ საკუთრებას, გარდაქმნას კაპიტალისტური საკუთრება სოციალურად“. ამ გვარად მილლერანმა ოპორტიუნიზმის ფილოსოფია გამოაცხადა სოციალიზმის ფილოსოფიად და შემდეგ განმარტა კითხვა, თუ როგორ უნდა უცქეროდნენ სოციალისტები სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდების (conquete du pouvoir publique) საქმეს: „ჩვენმა სახელოვანმა *) მეგობარმა გაბრიელ დევილმა, რომელსაც მომავალ კვირას მე-IV ნაწილი (პარიზის) ჩვენთან ერთად გაჰგზავნის პალატაში, მძლავრის და მარტივის ენით უკვე აღნიშნა, რომ სოციალურ ტრანსფორმაციას მოახდენს არა აჯანყებული უმცირესობა, არამედ შეგნებული უმრავლესობა.**) ძალას მივმართოთ? ვის წინააღმდეგ? რისთვის? ყოველის უწინარეს ჩვენ რესპუბლიკანელები ვართ. ამისათვის ჩვენ არ შეგვიძლია ვისაზრდოვოთ სულელურის იმედებით, მივმართოთ რომელსამე პრეტენდენტის პრესტიჟს ან ხმალს, რომელისამე

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 3024.

*) იხ. A. Millerand. Plate forme electorale გერმანიისთვის ამავე მნიშვნელობის დოკუმენტი ერფურტის პროგრამაა, რომელზეც თავის დროზე ცალკე ვილაპარაკებთ.

*) როცა გერმანიის სოციალდემოკრატიაზე გვექნება ლაპარაკი, მაშინ გამოვააშკარავებთ ფაქტებს, იმის დასამტკიცებლად, რომ ლიბკნეხტს, მაგალითად გულში ჰქონდა ეს მინისტერიალიზმი, სწერდა კიდეც მასზე, მაგრამ გამოქვეყნებას ვერ ბედავდა.

*) იხ. Revue socialiste Mars. 1895 წ.

*) ეს ვაჟბატონები ისე არ იტყვიან რამეს, რომ რამე დიდი „ტიტული“ არ უძღვნან ერთმანეთს. მილლერანი „უდიდესი იურიდიული ორატორია“, დევილი „სახელგანთქმული“ და სხვა. ყველა მარქსისტს მეორე მარქსისტი ან მართლა მიაჩნია რაღაც არა ჩვეულებრივ მოვლენად, ან და განგებ რეკლამას უკეთებს. მაგალითად, ერთ რომელღაც გერმანულ გამოცემაში ლაპარაკი იყო გედზე და ნათქვამი იყო, რომ იგი საფრანგეთის უდიდესი ორატორიაო. გედი რომ ჩვენ დასისტებზე ცოტა უკეთ ლაპარაკობს, ეს ცხადია, მაგრამ იმისი იმ ქვეყნის უდიდეს ორატორად დასახვა, რომელმაც გამბეტა, ჟიულ ფერრი, პიუ, დემენი, ვალდეკ-რუსსო, კლემანსო, ჟორესი, ბრიანი და სებასტიან ფორი წარმოშვა, ცოტა არ იყოს, გადამეტებაა. ასეთია მათი ჩვეულება. როცა აქეთ მოვდიოდი, ერთმა „დასელმა“ დარიგება მომცა: რომ ჩახვიდე ჟენევაში უსათუოდ გ. პლეხანოვი ნახე, იგი მესამე მეცნიერია მთელს ევროპაშიო. მას შემდეგ 8 წელიწად ნახევარი გავიდა და ჯერ კიდევ ვერ მოვმხვდარვარ, ვინ უნდა იყოს ორი პირველი მეცნიერი.

**) ეს სიტყვები დევილისა ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ზევით. ღირს შესანიშნავია, რომ მილლერანი დევილის (მართლ-მორწმუნე გედისტის) სიტყვებზე ემყარება, რომ თავის ოპორტიუნიზმის ფილოსოფია დაასაბუთოს. იხ. A. Millerand Plate forme electorale p. 13—14.

გზათა სამინისტროს, შეუძლიანთ თუ არა რკინის გზის მოსამსახურეებს და მუშებს პოლიტიკურ პარტიებში ჩაირიცხნენ და იმის საქმეებში მონაწილეობა მიიღონ. ეხლა სამინისტრომ განმარტება დაუგზავნა რკინის გზებს და მათ შორის ამიერ-კავკასიისასაც. სამინისტრო სწერს, პოლიტიკურ პარტიებში მონაწილეობა პირად შეხედულების საქმეა. ყველას შეუძლიან ამა თუ იმ პარტიაში მონაწილეობა მიიღოს, მხოლოდ სამსახურის მოვალეობას არ უნდა უღალატოსო. ყოველივე ეს კარგია, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ამ განმარტებას ბოლოში მისდევს შემდეგი წინადადებაც: „სასტიკად აკრძალულია იმ პარტიებში მონაწილეობა, რომელნიც დღევანდელ სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებას მტრულის თვალით უყურებენო“.

◆ **პატრულების გამრავლება.** ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით საღამ საღამოობით, ქალაქში გაამრავლეს პატრულები; აქამდე ღამ-ღამობით ყაზახთა პატრულებს არ უშვებდნენ, მაგრამ 13 მარტს ურიადნიკის ტკაჩის მოკვლის შემდეგ, ამ უბანში ყაზახის პატრულებიც დადიოდნენ. ამ უბნის მცხოვრებნი და ვაჭრები დიდ შიშში არიან 12 მარტს მომხდარ ამბით. ზოგმა კიდეც დასცალა დუქანი და ქალაქის სხვა უბანში გადავიდა.

◆ **„გრანდ-ოტელის“ ყუმბარების საქმე** დღეს, 15 მარტს, სამოსამართლო პალატაში წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით დაიწყება საქმის გარჩევა კაჩაურის, პავლიაშვილის და სხვათა, რომელთაც ყუმბარების დამზადება დაჰგენ. შირინკინის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებათ.

◆ **რუსების დეპუტაცია.** 13 მარტს, წყალთა ინსპექტორის პეტროვის მეთაურობით ნამესტნიკს წარუდგა დეპუტაცია და მთელი ამიერ-კავკასიის რუსების მხრივ სთხოვა იშუამდგომლოს, რომ ამიერ-კავკასიის რუსებმა ორი წარმომადგენელი იყოლიონ სახელმწიფო სათათბიროში.

◆ **მაზრის გაუქმება.** ამ ჟამად კავკასიის ადმინისტრაციაში ლაპარაკია აღძრული თიანეთის მაზრის გაუქმების შესახებ. მაზრის ტერრიტორია უნდა მიეწეროს დუშეთისა და თელავის მაზრებს.

◆ **მამულების ვაჭრობა.** ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკში დასრულდა სოფლის მამულების საჯარო ვაჭრობა. სულ გასასყიდად დანიშნული იყო 35 მამული 500 ათას მანათ თავნ ვალით. აქედან გაიყიდა 9 მამული 25,411 მანეთად, დარჩა ბანკს 26 მამული 200 ათას მანათის თავნ ვალით. გასყიდულ მამულებში დიდი მამული გაიყიდა ბორჩალოელ მემამულის ზ. ბარათაშვილის 207 700 მანეთად და თელაველ მემამულის მაყაშვილს 30.600 მანეთად.

◆ **მონასტერზე თავდასხმა.** ცხრა მარტს, დღისით, შიო-მღვიმის მონასტერში მისულა ყმაწვილი კაცი და უთხოვნია ეკკლესიის გაღება. შემდეგ შესულა, სანთელი დაუნთია და შემდეგი უთქვამს: მე ზესტაფონელი ვარ, წერეთლის და აბაშიძის კნეინებმა გამომგზავნეს და დამავალეს გავეგო, როგორი გზაა, სალოცავად უნდათ მოსვლაო. ნახევარ საათის შემდეგ მონასტერში მოსულა ექვსი ყმაწვილი. ღამის გათევა მოუსურვებიათ, მაგრამ ბერებს ბილეთები მოუთხოვიათ. უცნობები წასულან მახლობელ ტყეში. ექვსის საათის ნახევარზე დაბრუნებულან და შესდგომიან მონასტრის ძარცვას და რევოლვერების სროლას. დაჭრით არავინ დაუჭრიათ თურმე. ერთ მღვდელ მონაზონისთვის წაურთმევიათ მკერდის ჯვარი, საათი და ორ მანეთამდე ფული (ჯვარი უკანვე დაუბრუნებიათ) მეორესთვის—ექვსი მანეთი, მესამესთვის სამი მანეთი. ამის შემდეგ ბერები ერთ ოთახში დაუმწყვდევიათ და ეპისკოპოს ალექსანდრეს სახლისკენ წასულან. ეპისკოპოსმა წინდაწინვე მიიფარა თავი. უცნობებს დაუმტვრევიათ ეპისკოპოსის სახლის სამი კარი. წაღებით ეპისკოპოსის სახლიდან ვერაფერი წაუღიათ, რადგან ვერა უნახავთ რა.

◆ **სასულიერო სემინარია.** სინოდი ოფიციალურად შეეკითხა სასულიერო სემინარიის მმართველობას, როდემდის აპირებს დაბანაკებას ჯარი მაგ შენობაში ან ვისის განკარგულებით ჩააყენეთ ეგ ჯარიო.

◆ **ბრბოს მეთაურის შეპყრობა.** ზაქათალის ოლქის უფროსმა დეპეშით აცნობა ნამესტნიკს, რომ ზაქათალში მოთარეშე რაზმის მეთაური იუსუფა, რომელიც ამას წინად შეტაკების დროს დაიჭრა, ეხლა ხელში ჩაგვივარდაო.

◆ **საარჩევნო უბნები.** ტფილისის მაზრა, ადმინისტრაციის განკარგულებით, გაიყო 20 საარჩევნო უბნად. დიღომის საარჩევნო რაიონში მონაწილეობას მიიღებს 14 სოფელი; ელისავეტინსკის საზოგადოებაში—26; სოფელი, მანგლისისაში—17; ალბულაღისაში—16; ენაგეთისაში—11; ელისავეტალისაში—1; კოდისაში—15; ალექსანდერდორფისაში—1; ავჭალისაში—6; ხაშმისაში—4; გომბორისაში 4; მარიენფელდისაში 3; სართიჭალისაში—4; პატარძეულისაში—4; საგარეჯოსაში—3; თოხლიაურისაში—6; ყარაიაზისაში—10 და ახალ-მიხაილოვსკის საზოგადოებაში—1 სოფელი. მამასახლისებს და სხვა მოხელეებს უკვე დაეგზავნათ სახელმძღვანელო ინსტრუქციები.

◆ **სასამართლოს სესსიები.** ტფ. ოლქის სასამართლოს სესია ამ დღეებში გაემგზავრა სისხლის სამართლის საქმეების განსახილველად ახალციხეში. სხდომები დაიწყება 15 მარტს. აქედან სასამართლოს სესია გადავა ქ. ახალქალაქში, სადაც, სხვათა შორის, განიხილავს საქმეს ახალ-ქალაქის ხაზინის ხაზინადრის იუშკევიჩისას, რომელსაც ადგილობრივ მომრიგებელი მოსამართლე კიზირია უჩივის, ცილი დამწამაო. გუშინ, 14 მარტს მეორე სესიის სხდომები დაიწყო ზაქათალაში.

◆ **ექსარხოსი.** როგორც გადმოგვცეს, ექსარხოსის ნიკოლოზის ტფილისში სააღდგომოდ დაბრუნების შესახებ გაზეთებში მოთავსებული ცნობა სიმართლეს მოკლებულია. სასინოდო კანტორას და ექსარხოსის კანცელარიას ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მოსვლია.

◆ **არჩევნები ავლაბარში.** გენერალ-გუბერნატორის ნებართვით ავლაბარში 12 მარტს გაიმართა ავლაბრის მცხოვრებთა წარმომადგენლების კრება. კრებამ მიმავალ არჩევნებზე მოილაპარაკა, აირჩია 10 კაცი და დაავალა საარჩევნო მასალის დამზადება. კომიტეტის წევრობა ყველას შეუძლიან, ვისაც თანხმობის ბარათი ექნება ავლაბრის ასს მცხოვრებიდან. კომიტეტი შეუდგება კანდიდატების სიის შედგენას და პროპაგანდას. ავლაბრიდან სულ უნდა აირჩეს 15 ამომრჩეველი.

◆ **ავტოკეფალია.** ამას წინად სინოდს წინადადება მიუცია პროფესორ ცაგარლისათვის წარუდგინოს მოხსენება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის უფლებების შესახებ. ბ-ნ ცაგარელს დასაბუთებული მოხსენება უკვე წარუდგენია. მთელი საქმე ავტოკეფალიის შესახებ უკვე მოსვლია ნამესტნიკს.

◆ **იარაღით შეპყრობილნი.** 13 მარტს რკინის-გზის სადგურთან შეიპყრეს ზახაროვი, ოგანოვი, ვართანოვი და დანელოვი, რომელთაც ბერდანის თოფები აღმოაჩნდათ. ყველანი მეტეხის ციხეში ჩასვეს.

◆ **თავ. კ. მ. არღუთინსკის პასუხი.** ვარშავის რეალურ სასწავლებლის დირექტორს შემოუთვლია, მხოლოდ მაშინ შემიძლია მივიღო სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანამდებობა, თუ კავკასიის ყველა ეროვნებანი წინააღმდეგნი არ იქნებიან ჩემის დანიშვნისაო.

◆ **შემოწირულება.** „ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო დაზარალებულთა და აოხრებულ ქართველთა შესაწევად ფული: კნ. გ. სუმბათოვისაგან 50 მ. ბ-ნ ლ. მელვასაგან (თავის ამხანაგებში მოგროვილი) 50 მ. ქალბატონ მარიამ ბახტაძისაგან 10 მ. კნ. ილ. კონ. ნიჟარაძისაგან 50მ., სულ 115 მ ტანისამოსი შესწირეს: ემ. ზუბმანისამ, ეფ. ასათიანისამ, ო. ჩეკუროვისამ, ნ. თოთიბაძისამ, ს. როსტომოვისამ და ქალბატონ №№-მა.

◆ **არჩევნები.** უკვე აღვნიშნეთ, რომ ტფ. სამოსამართლო პალატისა და ოლქის სასამართლოს ზოგიერთი წევრნი დაინიშნენ საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელებად. წევრები ამ დღეებში გაემგზავრებიან დანიშნულ მაზრებში.

◆ გუშინ წინ დონნერ დეიტცის მაღაზია გასტეხეს და გაიტანეს ფული და საქონელი. მაღაზია სასახლის ქუჩიდან გასაღებით გაუღიათ. შესულან, ლომით გაუტეხიათ რკინის კასა და ამოუღიათ ფულად 1500 მან. ქურდებს შემდეგ მოუხვეტიათ აბრეშუმეული 1050 მანეთისა და წასულან. ეს მაღაზია პოლიციის სადარაჯოს მახლობლად არის.

◆ ამ რამდენიმე ხნის წინად ავლაბარში კარგარსა და ქანანაანცს მოუთავსებიათ 20 დესეტინა მიწა. ოლქის სასამართლოს ეს მიწა ქალაქის საკუთრებად უცვნია. მომჩივნებს საქმე სამოსამართლო პალატაში გადაუტანიათ და განუცხადებიათ, ეს მიწები ჩვენგან ქალაქ ტფილისმა მიითვისაო. საქმე განსახილველად დანიშნულია დღეისათვის.

◆ ტფ. ოლქის სასამართლომ ამ დღეებში განსახილველად მიიღო საქმე გაბრიელ მჟავანაძისა და ივანე რატიშვილისა, რომელთაც ჰბრალდებათ ხაშურის სადგურის კასირის თავ. ანნაბაძის მოკვლა.

◆ სამხედრო სასამართლოში მიცემული ვლადიმერ გზაზაშვილის საქმის განხილვა დასრულდა. მას ბრალდება 12 მარტს ვეტმან დი ტვენკის მოკვლის განზრახვა. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით იგი სამხედრო სამართალში მიეცა.

◆ 31 მარტს ტფ. სასამართლოში გაირჩევა საქმე რკინის გზის გამგეობის საქმის მწარმოებლის ალექსანდრე ჯალალ-ბეკოვისა, რომელსაც რკინის გზის უფროსად ნამყოფის ინჟ. ივანოვსკის შეურაცხყოფა ჰბრალდებოდა. შეურაცხყოფა წერილობით მოხდა. სასამართლოში ჯალალ-ბეკოვმა განაცხადა, რომ ინჟინერ ივანოვსკისაგან საიდუმლოდ მონდობილი მქონდა, რევიზია მომეხდინა რკინის გზის მოხელეთათვის. მონდობილება შევასრულე, ბევრი დანაშაულობაც აღმოვაჩინე, მაგრამ ნაცვლად დაწინაურების-დაჯილდოვებისა ივანოვსკიმ სამსახურიდან დამითხოვა. ამან ამაღელვა და კარგად არც კი მახსოვს, რას ვსწერდი ჩემს განცხადებაშიო. სასამართლომ ჯალალ-ბეკოვი გაამართლა.

◆ გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით საროსკიპო სახლები დაიხურა ავჭალის ქუჩაზე. მათ მოიჯარადრეებს წინადადება მიეცათ სხვაგან გადატანისა.

ქალაქის საქმეები

13 მარტი.

ამ დღეს ტფ. საბჭოში განსახილველი იყო ცხრა საქმე. ქალაქის გამგეობამ მეტლეებს ნება მისცა გადასახადი ფული 15 მარტამდის არ გადაეხადათ. საგუბერნიო ადმინისტრაციამ ეს გადაწყვეტილება არ დაუმტკიცებია.

წაკითხულ იქმნა საქმე იმის შესახებ, თუ როგორ მოხერხდეს, რომ ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში საგნებს ადგილობრივ ენებზე ასწავლიდნენ. კრებამ დაადგინა: როგორც ამ სახელოსნო სასწავლებლის, ისე პროფესიონალურ სასწავლებლის საქმე გადაეცეს შესამუშავებლად ქალაქის სასწავლებელთა კომისიას.

ავლაბრის სავაჟო პროგიმნაზია სთხოვს ქალაქის გამგეობას: ქალაქმა დაუნიშნოს ამ პროგიმნაზიას საპატიო მზრუნველი. ეს პროგიმნაზია ინახება ქალაქის ხარჯით. კრებაზედ წარმოითქვა [illegible] აზრი, რომ ამ პროგიმნაზიის პატრონად [illegible] მზრუნველად უნდა იყვეს რამდენიმე პირი, ქალაქის დავალებით, და არა ერთი პირი. საპატიო მზრუნველად ამ პროგიმნაზიისა ამორჩეულ იქმნა კენჭით ხმოსანი ა. ს. ბაბოვი. აგრეთვე დადგენილ იქმნა: იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რომ რამდენიმე კაცი იქმნას არჩეული პროგიმნაზიის საქმეების საწარმოებლად.

განხილულ იქმნა საქმე ქალაქის იურის-კონსულტის ი. ს. ტერსტეფანოვის დახმარების შესახებ. იგი ავად გამხდარა და ლამის დაბრმავდეს. გამგეობას დაუდგენია, მიეცეს დროებით 500 მანეთი. დასდგეს კენჭის საყრელად ყუთები: მიეცეს 500 თუ 1000 მანეთი დროებით დასახმარებლად. გადაწყდა 500 მანეთის მიცემა.

ქალაქის ექიმს აგარონოვს უმსახურნია სამი წელიწადი და 8 თვე და შემდეგ გარდაცვლილა. ამ ექიმის სახლობა შემწეობას თხოულობს, გამგეობას მიუცია სამარხ ფულად 150 მანეთი და გადაუწყვეტია, სახლობას მიეცეს კიდევ 200 მან. საბჭომ შეიწყნარა გამგეობის დადგენილება. საბჭომ დაადგინა აგრეთვე მიეცეს დასახმარებლად ჩიმიშკიანცს 480 მანეთი.

შემდეგ წაიკითხეს ვრცელი მოხსენება ა. ი. ხატისოვისა თათრის მოედნის გაფართოების შესახებ. გამგეობა შევაჭრებია ცამეტს მემამულეს. ამ ცამეტში მხოლოდ თორმეტს გამოუცხადებია თანხმობა მამულის გაყიდვისა. შესაძენი მამული შეადგენს 106 ოთხ-კუთხ საჟენს. ეს ერთი კიკნა ადგილი დაუფასებიათ 188,800 მანეთად, ე. ი. ერთი საჟენი 1750 მანეთად. ხატისოვმა სთქვა, სახსარი არა გვაქვს ეს ადგილი შევიძინოთ, თუმცა-კი ძალიან სასურველია ამ მოედნის გაფართოვებაო. საბჭომაც შეუძლებლად სცნო მამულის შეძენა.

უკანასკნელი საქმე შეეხებოდა ქალაქის საქმეებს ნავთლუღში. ეს საქმე რაღაც ზღაპარსა ჰგავს: ქალაქს ჰქონია ნავთლუღში დიდი მამული. ამ მამულიდან ძალიან დიდი ნაჭერი დაუჩემებია ვიღაც ომარაშვილს. ეს საქმე მოახსენა კრებას თავმჯდომარემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა. როცა წაიკითხა გვარი ომარაშვილი, აქეთ-იქით გაისმა: „ქართველი და ასეთი ქულიკიო“. თავ. ჩერქეზიშვილმა საქმის მოხსენება განაგრძო და აღმოჩნდა, რომ ეს ომარაშვილი ყოფილა ომარიანცი. ამ გარემოებამ საბჭოში დიდი სიცილი გამოიწვია, ომარაშვილს ეს მამული მიუყიდნია ტერ-აკოფოვისა და მარტიროზოვ სათვის, ყიდვის ქაღალდები უფროს ნოტარიუსთან დაუმტკიცებიათ, ხოლო ქალაქს კი სძინებია თუმცა კი საქმიდან სჩანს, რომ ქალაქს ეს გარემოება სცოდნია. ტერ-აკოფოვს ამ მამულიდან ერთი ნაწილი, 44,500 ოთხკუთხი საჟენი (როგორც ხედავთ, კარგი ლუკმაა) მიუცია რკინის გზისთვის. რკინის გზის კომისიას საჟენი დაუფასებია თუმნად. რკინის გზა ამ დაფასებას არ დასთანხმებია და უთქვამს საჟენი სამს მანეთზედ მეტად არა ღირსო. ეს დაფასება განუსაჩივრებია რკინის გზას პეტერბურგში. პეტერბურგიდან განკარგულება მოსულა, ხელ-ახლად დააფასეთ ეს მამულიო. მამული ისევ თუმნად დაუფასებიათ თითო საჟენი. ტერ-აკოფოვს ეს ორჯელ დაფასება მოუხდენია რამდენსამე თვის განმავლობაში.

ა. ი. ხატისოვი. ეს საქმე ქალაქის საბჭოს არ შეეხება. ჩემის აზრით, ეს საქმე უნდა გათავდეს მორიგებით ქალაქის გამგეობასა და ტერ-აკოფოვს შორის. ამ მორიგებაში საბჭომ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს (?). მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ გამგეობა და გამგეობის იურის-კონსულტი, და საქმეს ისინი დაამთავრებენ.

ა. ს. ბაბოვი და ვართანიანი. რატომ გამგეობამ არავითარი სარჩელი არ იხმარა? ეს საქმე კარ-

---

დიქტატორისას ჩვენის დოქტრინის გასაყვანად*).

ჩვენ მივმართავთ მხოლოდ საარჩევნო უფლებას.**). ჩვენ მისი ეკონომიური და პოლიტიკური განთავისუფლება გვსურს. ჩვენ გვინდა მხოლოდ, დარწმუნების უფლება გვქონდეს. ნურავინ ნუ მოგვაწერს იმ მასხარულ (idée bouffonne) აზრს, ვითომ ჩვენ გვსურდეს ძალას მივმართოთ მაშინ, როცა ცოტა უფრო მაგარ ხასიათის რადიკალური მინისტრები საკმაო იქნება მისს ჰკუაზე მოსაყვანად“.

მგონი, საკმაოდ ცხადად არის აქ გამოთქმული ის პრინციპიალური ლეგალიზმი, რომელიც გედმა კიდევ უფრო ადრე გამოაცხადა პარტიის მოქმედების დედა აზრად, მაგრამ მილლერანს რომ კიდევ უფრო აშკარად გაეხადა ეს ცვლილება პარტიულ ტაქტიკისა მთელის „მოაზრე საზოგადოებისათვის“ და ამ მიზნით ის, როგორც საპარლამენტო ჯგუფის წარმომადგენელი, აი რას უცხადებს ერთ-ერთ პარიზულ დიდ ბურჟუაზიულ ორგანოს წარმომადგენელს, რომელიც მივიდა მასთან პარტიის მისწრაფებათა შესატყობად: „რაც შეეხება იმათ, რომელნიც სრულიად უსაბუთოდ გვაწერენ იმ აზრს, ვითომ ჩვენ ჩვენი იდეის გამარჯვებას ძალადობრივ რევოლიუციისაგან მოველოდეთ, ჩვენ შეგვიძლია ვუპასუხოთ: არაფერი არ არის ჩვენს ყოფა-ქცევაში ისეთი, რაც ვინმეს ნებას აძლევდეს ამგვარი მისწრაფება შემოგვწამოს.“ შეადარეთ ეხლა გედის და მილლერანის სიტყვები და დარწმუნდებით, რომ მილლერანი მხოლოდ იმეორებს იმას, რასაც გედი ამბობდა. მილლერანი მხოლოდ გედიზმის პოპულარიზატორი და პრაქტიკია. იმას არც რამ აფუჩეჩებს სარევოლიუციო ფრაზებით. მე გამოუგონებია, არც რამე მიუმატებია იმ ოპორტიუნიზმის ფილოსოფიისათვის, რომელიც გედმა „ძმათა თვისთა“ დახმარებით შექმნა. გედსა და მილლერანს შორის პრაქტიკულად მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ერთი მათგანი (მილლერანი) რეფორმისტულ მოქმედებას და ყოფა-ქცევას თან აყოლებს რეფორმისტულ სიტყვებს და ფრაზებს, მეორე (გედი) აგრეთვე რეფორმისტურად იქცევა, მაგრამ თავის რეფორმისტულ მოქმედება-ყოფა-ქცევას აკობს ისიც უნდა ვსთქვათ, რომ გედი სწორედ მაშინ, როცა შეუგნებლად თვითვე გზას უკაფავდა მილლერანის მოვლინებას, ასე არ იყო შეყვარებული რევოლიუციონურ ფრაზებს (1890—98 წლამდის განსაკუთრებით). რევოლიუციონურ ფრაზებს იგი დაუბრუნდა, როცა შენიშნა, რომ „მილლერანიზმი“ დამარცხდა და გათახსირდა. 1896 წ. ცნობილ რეზოლიუციით ანარქისტები სრულიად ჩამოშორებულ იქმნენ საერთაშორისო კონგრესებს, რომელნიც ამ ჩამოშორების შემდეგ სოციალდემოკრატიულ სხდომებად გადაიქცნენ. სწორედ ამ ლონდონის კონგრესის შემდეგ თითქო ანარქისტთა რევოლიუციონარიზმის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად, გედმა თავის სიტყვაში, რომელიც Hôtel des vrais amis *) წარმოსთქვა, შემდეგი გამოაცხადა: „უკანასკნელ არჩევნებს კარგი შედეგი მოჰყვა. ჩვენ აღარ უნდა ვიხმაროთ სიტყვა რევოლიუციონარიზმი. ჩვენ აღარ ვსაჭიროებთ მეტს ამ სიტყვაში, ისედაც იციან, რომ ჩვენ რევოლიუციონერები ვართ“. ასე, მხოლოდ ლეგალურ სახსრით—კენჭებით—ვიმოქმედოთ და სიტყვა რევოლიუციონარიზმსაც ნუ ვიხმართ—ისედაც კარგი რევოლიუციონერები ვართო. ნამდვილი დიალექტიკა ანუ სოციალდემოკრატიულ უკუღმართობის ლოღიკა სწორედ. დღეს-კი ისევ რევოლიუციონურ ფრაზას მიუბრუნდა ажъ песъ блевотинѣ своей, როგორც ერთი რუსული თქმულება ამბობს, მაგრამ საული პარლამენტარიზმისა, დღეს იმის პავლედ ქცეული აწი ველარავის მოხიბლავს: დღეს მას მუშები იცნობენ, დღეს მუშათა შორის გედის ქამელეონობა (retournage de veste) ანდაზად არის ქცეული. მართლა და რა პირით, რა სინდისით უკიჟინებს იგი მილლიერანს ოპორტიუნისტობას?

„შეისწავლეთ საპარლამენტო ისტორია საფრანგეთის სხვა ორგანიზაციებისა და ნახავთ, რომ მათი დეპუტატები, რომ გედი, ვაილიანი და მათი ამხანაგები სწორედ ისე, როგორც ჟორესი, მილერანი და მათი ამხანაგები, შეთანხმებით ერთგულად იცავდნენ ლ. ბურჟუას სამინისტროს სისტემატიურად 1895 წ. ნოემბრიდან მოკიდებული 1896 წ. მაისამდე (მეტი ამ სამინისტროს არც კი უცოცხლია).

„რისთვის შველიდნენ ისინი (გედისტები და სხვა მართლ-მორწმუნენი) ამ სამინისტროს? ერთი წევრი სოციალისტურ-რევოლიუციონურ პარტიისა (მართლ-მორწმუნეთა ფრაქციისა) ენრი ტურო (Henri Turot) აი რას სწერდა ამის შესახებ: „ცენტრალური სარევოლიუციო კომიტეტის ერთ გადაწყვეტილების შესახებ, გადაწყვეტილების, რომელიც ეხებოდა ლონდონის საერთაშორისო კონგრესზე წარსადგენ რეზოლიუციას Journal des Débats ლაპარაკობს და ჰკვირობს, რომ რევოლიუციონერი დეპუტატები შველოდახმარებას უწევენ სამინისტროს. ამის ახსნა ძალიან ადვილია.

„სამმართველო ძალის ხელში ჩაგდება ჩვენი მიზანია, რადგან ამ სახსრით მივაღწევთ სოციალურ რესპუბლიკის დაარსებას. მაგრამ იმის მაგიერ, რომ თავი ავიჯეროთ ცოტად თუ ბევრად შორეულ იდეალის ტრფიალებით, ჩვენ, რევოლიუციონერებს გვსურს წამ-და-უწუმ ჩარეულ ვიყოთ დღიურ ცხოვრების ბრუნვაში. ამ წამში ჩვენი უპირველესი მოვალეობაა დავიცვათ რესპუბლიკა ბ. პუანკარეს, სარეაქციო განზრახულებათაგან, რომელიც ხმებს უკიდურეს მემარჯვენეთა შორის ეძებს.

„ჩვენი წარმომადგენლები კარგად იქცევიან, როცა იცავენ ისეთ მმართველობას, რომელიც ემყარება მხოლოდ რესპუბლიკანელთა უმრავლესობაზე, როცა ისინი ნებას არ აძლევენ ზოგიერთ პატივ-მოყვარეთ, რომელნიც მზად არიან ყოველგვარი ღალატი ჩაიდინონ, შეთქმულობა იქონიონ მონარქისტებთან ერთად დემოკრატიის წინააღმდეგ.

„ჯერ-ჯერობით პარლამენტარული ცდა საკმარისად სჩანს ამ პლანების ჩასაშლელად.

„დაწყნარდეს Debats, კენჭის ხმარება სხვაგვარ ნიჭის გამოჩენას არ უხშობს რევოლიუციონერებს.“ *)

მეორეს მხრით პოლ ლაფარგი, გედის მეგობარი და ამხანაგი, საფრანგეთის მუშათა პარტიის ნაციონალურ საბჭოში სწერდა შემდეგს სოციალისტურ პარტიას და ბურჟუას სამინისტროზე: „წინასწარ კაბინეტის წევრებს, რომელი პარტიისაც უნდა ყოფილიყო, ყოფა-ქცევას საინტერესო ერთგვარობა ეტყობოდათ. სულ ყველა ემყარებოდა ცენტრზე და მარჯვენაზე და რომ მათი გული მოეგოთ, ომს უცხადებდნენ სოციალიზმს, რომელიც ასე ამგვარად გამგეობის იარაღადა ხდებოდა. მაგრამ ისე ხდებოდა, რომ ეს მეტამორები, რომელნიც ფიცს იძლეოდნენ აეკუწათ (mettre en capitolade)—სოციალისტები, თითონვე ძლეულ იყვნენ სოციალისტებისაგან.

„ბ-ნმა ბურჟუამ, ამ გარემოებისაგან ჭკუა ნასწავლმა, ტაქტიკა გამოიცვალა, მოხრეები მარცხნივ მონახა და იმის მაგიერ, რომ სოციალიზმს შეეტაკებოდა და მათთვის მუშტი მოეღირა, მან ხელი გაუწოდა. ამ ახალმა ტაქტიკამ სოციალისტები მინისტერიალისტთა შორის ვერ მოიყოლია, ვერ დაიყრევინა მათ იარაღი, მაგრამ ომი შეაწყვეტინა (suspendre les hostilités). ჟორესმა, გედმა ვალიანმა, მილლერანმა, გამოაცხადეს საჯაროდ, რომ რადგან ახალი სამინისტრო სდგებოდა მათ წინ, როგორც სამინისტრო დამცველი ლეგალიზმისა, ისინი მას ნდობას უცხადებდნენ, სურდათ მისი საქმეში ნახვა.

სოციალისტური პარტია სარგებლობს მმართველ კლასის კარგის და ცუდის წამებით და იზრდება კაპიტალისტურ პარტიების გახრწნის დროს. გუშინ სამინისტრო იღებდა მმართველობას თავის ხელში იმისათვის, რომ სოციალისტური პარტია დაემარცხებია და მოეკლა, დღეს ბურჟუას სამინისტრო იმით სცხოვრობს, რომ სოციალისტური პარტია სცემს პატივს, ხვალ იგივე სოციალისტური პარტია აიძულებს მთავრობას, მიიღოს მისი სურვილი“*).

აი რას ამბობდა რევოლიუციონერი ტურო, მართლმორწმუნე ლაფარგი. თუ მათ პრინციპიალურად უფლება ჰქონდათ დახმარება გაეწიათ იმ სამინისტროსათვის, რომელიც მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდა, რომ მათ პატივსა სცემდა, ჟორესს და მილლერანს ხომ მეტი უფლება ჰქონდათ კიდევ დახმარება გაეწიათ ისეთის სამინისტროსათვის, რომელიც მათ გემოზე დადიოდა? სად არის აქ პრინციპიალური განსხვავება ორ ფრაქციას შორის? ბურჟუას სამინისტრო ძალიან ხან-მოკლე იყო, მაგრამ რაც იცოცხლა, სოციალისტების და მათ შორის „მართლმორწმუნეთა“ დახმარებით იცოცხლა. ბურჟუას სამინისტროს რომ თავი დავანებოთ, კომბის სამინისტროს გედის და ვალიანის პარტია უჩენდა დახმარებას და უდგენდა უმრავლესობას. ერთის სიტყვით, ჟორესსა და მილლერანს არაფერი არ ჩაუდენიათ ისეთი, არაფერი არ უთქვამთ ისეთი, რაც არ ეთქვათ და არ ჩაედინოთ „მართლმორწმუნეებს“. „მილლერანიზმი“ არსებობს იტალიაში, საფრანგეთზე უფრო ადრე არსებობდა იგი ბელგიასა და გერმანიაში, მაგრამ არავის ხმა არ ამოუღია. თუ საფრანგეთში ამ საკითხმა დიდი ალიაქოთი ასტეხა, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ პრაქტიკულად დაინახა პარტიამ თავის დაღუპვის საქმე, დაინახა, რომ მუშები ჩამოშორდნენ და სხვა გზას დაადგნენ; დაინახა, რომ პარტიის განუახლებლად პარტია ძველ მნიშვნელობას ვეღარ მოიპოვებდა და ამისათვის პარტიის ქერქის განახლება იყო საჭირო. ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ საკითხს და ნათელ ვყოფთ, თუ როგორ მოქმედებდა გედი და მისი ფრაქცია პარლამენტში. მაგრამ სანამ მათ საპარლამენტო მოქმედებას განვიხილავდით, საჭიროა გავიგოთ, თუ როგორ სწყვეტენ სოციალ-დემოკრატები სახელმწიფოს ხელში ნაწილ-ნაწილად ჩაგდების საკითხს.

ქ. ორ—იანი.

---

*) ამ უბოდიშო ჰორს ხშირად ხმარობენ მარქსისტები. ვითომდა ძალას მხოლოდ ის მოუწოდებს, ვინც პრეტენდენტის ან დიქტატორის მოხრვა. [illegible] ჰორი მოისმინა და ყურიც არ შეიბერტყა. როცა მე-90 წლების მიწურულში დიდი საერთო გაფიცვა მზადდებოდა რკინის გზის მუშებისა, მაშინ, მაგ., სოც. დემოკრატებმა ხმა გაავრცელეს, საფრანგეთის ტახტის პრეტენდენტი ასაზრდოებს თავის ფულით მოძრაობასაო და ამით ჩაშალეს იგი.

**) შეადარე ამას ზევით მოყვანილი გედის სიტყვები. მათ შორის სრული მსგავსებაა.

*) იხ. Hamon. Le socialisme et le congrès de Londres.

*) Petite République du 31 mars 1896 წ.

*) იხ. S. Milhaud la tactique socialiste et les decision des congrés internationaux.

გად იცოდა ქალაქის იურის-კონსულტმა ტერ-სტეფანოვმა.

ს. ზ. მირზოევი. ეს საქმე მე აღვძარი საბჭოში. დიდი დავი-დარაბა მომინდა, რომ საქმე თქვენთვის მოეხსენებინათ. გეუბნებით და კიდევ გეთხოვლებთ: დღეს თუ ხვალ ტერ-აკოფოვი ამ ფულს მიიღებს რკინის გზისაგან. ხომ ხედავთ, რა ყოჩაღად მოიქცა იგი: რამდენსამე თვეში მამულების დაფასება მოახდინა ორჯელ, ორჯელვე თავის სასარგებლოდ, როცა ამისთანა საქმეებს მთელი წლები უნდა. საჭიროა დღესვე საჩივარი აღვძრათ ტერ-აკოფოვის წინააღმდეგ, უნდა „ზაპრეშჩენიე" დავადოთ ამ ფულს თორემ რკინის გზა უთუოდ მისცემს და ჩვენ ხახა-მშრალები დავრჩებით. რასაკვირველია, დიდი დამსახურება გაგვიწია ტერ-აკოფოვმა. იქ მამული ღირს არა უმეტეს მანეთ ნახევრისა, იმან-კი ამ მამულის ფასი თუმნამდის ასწია.

ასტყდა ამის შემდეგ ჩურჩული ხმოსნებს შორის და უცბათ თითქოს ყუმბარამ იფეთქა და გასკდაო, მიიფანტნენ და დარბაზი დაცალიერდა.

ამისი მიზეზი ვიკითხე და აქეთ-იქიდან შემდეგი გავიგე: „ხმოსნებს არ უნდათ ტერ-აკოფოვს დავა გამოუცხადონო". ქალაქის ინტერესების დაცვაც ასეთი უნდა!

რუსეთი

სრულიად რუსეთის რკინის გზის კავშირის განცხადება. ხმა დადის, რომ მიმდინარე თვეს უნდა მოხდეს რკინის გზების მოსამსახურეთა გაფიცვაო. სტიქიური მოძრაობა ისე მსწრაფად ვითარდება ვიტტე-დურნოვოს კაბინეტის მოქმედების მეოხებით, რომ ეხლა ყოველივე მოულოდნელი შემთხვევა მოსალოდნელია... მაინც ცენტრალური ბიურო აცხადებს, რომ ამჟამად პირველ ადგილს ვაძლევთ მხნე მუშაობას ჩვენის კავშირის შეკავშირებულ ძალთა განვითარებისათვის, რომ გადამწყვეტ წუთს მოუმზადებლად არ დავხვდეთო. რაც შეეხება გაფიცვას, იგი განხილულ იქნება მესამე კრებაზედ. ამ კრებას მოიწვევს ცენტრალური ბიურო რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირისა და მოხდება აპრილში.

დამშვიდებელი მატარებლები. კიევში გაუმართავთ ახალი ტყვიის მტყორცნელიანი მატარებლები. ამ მატარებლებით ჯარმა რკინის გზის გაფიცვის დროს უნდა იაროს. მანევრები უკვე დაიწყო. მატარებელი საათში 150 ვერსს გადის.

„დამამშვიდებელი" ავტომობილები. პარიზში რუსეთის მთავრობას შეუკვეთნია ტყვიის მტყორცნელებიანი ავტომობილები. ავტომობილიდან სიარულის დროს შეიძლება სროლა წინ და უკან, მარჯვნივ და მარცხნივ (მხოლოდ მაღლა არ შეიძლებაო, ოხუნჯობს ერთი გაზეთი).

აჯანყება. იტალიურ გაზეთში „კურ. დელასერა"-ში სწერია, რომ ვარშავის საპყრობილეში მოხდა დაპატიმრებულთა აჯანყება. მისულმა ჯარმა „დაამშვიდა" ხიშტებით. ბევრი მოჰკლეს და დასჭრეს.

რევოლიუციონური მოძრაობა. ოდესაში ჟანდარმთა მმართველობის სადგომის ქვემოთ, ფეხში ვიღაცეებს შეედოთ ასაფეთქებელი მანქანა (ჯოჯოხეთის მანქანა), რომელიც აფეთქდა, მთელი აივანი მოაგდებინა სადგომს და მახლობელ სახლის ბანზე გადავარდა. თვით სადგომში კარი და ფანჯარა დაიმტვრა, ხალხი კი არ დაზიანებულა. აფეთქებამ შედარებით უვნებლად იმიტომ ჩაიარა, რომ აფეთქების ძალამ სხვა მიმართულება მიიღო.

ხარკოვიდან იტყობინებიან, რომ იქ მუშების აჯანყება-არეულობაში 16 ათასი მუშა იღებს მონაწილეობას. ხარკოვს ჯარი გაგზავნეს.

ვარშავიდან იტყობინებიან, რომ ეს მესამედ დაეცნენ რკინის გზის ხიდს და ქვებისა და რევოლვერების სროლით გაჰფანტეს დარაჯები. დარაჯებმა მახლობელ სადგურს აცნობეს ეს ამბავი, ხიდი გასინჯეს და აღმოჩნდა, რომ ხიდს ქვეშ თხრილი გაუყვანიათ და სამ-ფუთიანი ასაფეთქებელი ყუმბარა ჩაუდვიათ.

როგორც ტომსკიდან იუწყებიან, გლეხებმა გასჩეხეს დიდი ნაწილი იმ ტყისა, რომელიც ხელმწიფის კაბინეტს ეკუთვნის. ადმინისტრაცია გაკაფულ ტყეს ახდევინებს გლეხობას.

სადგ. პოდგორნაიასთან (პიატიგორსკი) გლეხებს მოუხნავთ 80 დესეტინა მიწა, რომელიც მემამულე ქალს შროლოვს ეკუთვნის.

არჩევნები. 5 მარტს პეტერბურგში უნდა აერჩიათ რწმუნებულნი შემდეგ ქარხნების მუშებს: გლებოვისა, პინტშისა, არტურ კოპელისა, საერთაშორისო საზოგადოებისა და ბგურის ქარხნებისა. ყველა ამ ქარხნის მუშებმა სრული ბოიკოტი გამოუცხადეს სახელმწიფო სათათბიროს.

წერილი რედაქციის მიმართ

ვენაში ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობაზე ახლად დაარსებული ქართველ სტუდენტთა ერთი წრე საჭიროდ სცნობს გამოაცხადოს ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ, რომ დასახელებულ წრესთან დაარსებული ბიურო კისრულობს მაწოდოს ყოველგვარი ცნობა წამომსვლელთ და აგრეთვე გაუწიოს შეძლებისდაგვარად ყოველგვარი დახმარება ვენაში ახლად ჩამოსულ ქართველთ.

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ბიუროს შემდეგის ადრესით: Wien (Австрія). Universität. An Nerrn stnd. Okropiridze.

წრის მინდობილობით სტუდ. ივ. რამიშვილი.

P. S. ვთხოვთ სხვა გაზეთების პატივცემულ რედაქციებს ეს განცხადება გადაბეჭდონ.

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

13 მარტი

პეტერბურგი. განათლების ლიგამ მეორე დამფუძნებელ სხდომაზე აირჩია დროებითი გამგეობა, რომელსაც შემდეგი პირნი შეადგენენ: ანერტი, აკერმანი, ბოდუენ-დეკურტენე, დეინეკე, დიქსონი, ელაჩიჩი, კარეევი, კორსაკოვი, კოტელნიკოვი, ლონდონი, მანუილოვი, მეტალნიკოვი, მიხელსკი, ოლდენბურგი, პანტელეევი, პრისელკოვი, პროსკურიაკოვი, სალაზკინი, სახაროვი, სტოიუნინი, ფალბორკი, ფრიშენდორფი, ჩარნოლუსკი და შახმატოვი.

ვარშავა. უცნობებმა რევოლვერით მოჰკლეს ვოლსკის ქარხანაზე მომავალი მუშა გრუძინსკი, რომელსაც პროკლამაციები და ჯარისადმი მოწოდებანი აღმოაჩნდა.

მადრიდი. პოლონეთიდან მოსული 900 ემიგრანტი ვიგოდან არგენტინას გაემგზავრა.

ვარშავა. გუშინ ვისლის პირა მხრის გზის 166 ვერსზე ვიღაც პირთ გამზრახველნი თავს დაესხნენ ჟამაგირის დამრიგებელ სავინოვს, რომელიც დრეზინით მიდიოდა ლიანდაგზე. დრეზინა თხრილში გადააგდეს, წაართვეს სავინოვს 11,000 მან. და მიიმალნენ თოფების სროლით.

გამოვიდა პირველი ნომერი სამხედრო-საეკონომიო ჟურნალ „ოფიცერსკაია ჟიზნის".

ნება დართეს გამოსცენ ვარშავში 5 ჟურნალი პოლონურად და ერთი ჟურნალი და ყოველ დღიური გაზეთი ებრაულ ენაზე.

იაროსლავლი. გუბერნატორის დადგენილებით სამი თვით გაგრძელდა კიდევ იარაღის შენახვისა და ტარების შესახებ გამოცემულ წესების მოქმედება.

ბაქო. უკანასკნელ ჟამს ძლიერ ადევნებენ თვალს სპარსეთიდან მოსულთ, რათა იარაღი ჩუმათ არ შემოიტანონ. 12 მარტს გემ „სკობელევ"-ზე პოლიციამ შეამჩნია საეჭვო მგზავრი. როცა ამ უცნობის ბარგი გახსნეს, მას აღმოაჩნდა 5 800 კაპსულიანი ხელით გადასაგდებ ბომბებისა, $37^{1}/_{2}$ გირ. დინამიტი, 50 გირ. მქუხარე ნივთიერება და 46 კონა პატრუქი 13 არშინის სიგრძე თვითეული. ბარგის პატრონმა ისარგებლა აღიაქოთით და მიიმალა.

ჩერნიგოვი. გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთ „დესნი"-სა.

ვილნო. ჟანდარმთა უნტერ ოფიცრის მოკვლის გამზრახველ სვიდლერს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს. რადგან ბრალდებული სრული წლოვანი არაა, ამიტომ სასამართლომ გადასწყვიტა იშუამდგომლოს ჯარის უფროსის წინაშე, რათა ჩამოხრჩობა კატორღაზე შეეცვალოს ბრალდებულს.

ბორისოგლებსკი. აფთიაქის პატრონ ილარიონოვის მოკვლა განიზრახეს, მაგრამ ბოროტ-გამზრახველი დასჭრეს და დაიჭირეს.

მოსკოვი. გუბერნიის მუშების კრება დასრულდა და აირჩიეს ყველა, ვინც ასარჩევი იყო.

ბერლინი. რათა რუსეთიდან გამოქცეულებს შეუმსუბუქონ სამშობლოში დაბრუნება, ამიტომ გზათა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, დაეცადონ და მერე გამოართვან მათ ფული.

ბელგრადი. ნოვაკოვიჩმა, რომელიც საკომერციო აგენტათ არის ლონდონში აცნობა, ინგლისი მზათაა განაახლოს სერბიასთან დამოკიდებულება, თუ მეფის მკვლელები ჩამოშორდება სამეფოსა.

აუარებელი მაკედონელი მიემგზავრება ამერიკისაკენ, რაც მაკედონიაში ცხოვრების აუტანელ პირობებს ამტკიცებს.

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

12 მარტი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ხელმეორედ მისცა რწმუნებულების არჩევნების ნება პეტერბურგის მაზრაში, რადგანაც პირველს არავითარი შედეგი არ მოჰყვა.—პეტერბურგის მაზრის ოთხი ნაწილის და პეტერბურგის შინის მამულთა კრებაზე აირჩიეს 20 17 ოქტომბრისტი, 19 კადეტი, 3 უფლებრივ წესრიგის, 3 პროგრესისტ-ეკონომისტი, 2 რუსის ხალხის კავშირის, ერთი ვაჭარ-მრეწველებისა და 14 პარტიებს გარეშე მდგომნი. 1511 ამომრჩევლებში მხოლოდ 160 გამოცხადდა.

მოსკოვი. მოსკოვის გუბერნიაში სახელმწიფო საბჭოს წევრობის უფლება ჰქონდათ: მოსკოვის მაზრაში—10, კლინსკისაში—12, ბრონიცსა—5, ვერეისკისაში—8.—მემამულეთა კრებებზე აირჩიეს: ვიდნის მაზრაში 2 ქნეზი, 4 აზნაური, მეშჩანი, 3 გლეხი; ბოლხოვის მაზრაში—ორიოლის გუბერნია—მღვდელი, 12 მემამულე—კონსერვატორები; სლობოდსკისაში—მღვდელი, 2 მეჭარხლე—ყველანი ზომიერის მიმართულებისა. ბრიანსკში თავად-აზნაურთა პარტიამ გაიმარჯვა.

პეტერბურგი. ქალაქების ამომრჩეველთა კრებამ აირჩია: ბელგოროდში ნაფიცი ვექილი—კადეტი; ოსკოლში მემამულეებმა—სახაზინო პალატის განყოფილების წევრი და მღვდელი—ორივე მონარქისტია, არდატოვში ქალაქიდან ამომრჩევლებად—საერობო გამგეობის თავმჯდომარე—კადეტი, სლობოდსკისაში—წვრილ მემამულეთა კრებაზე—2 მეჭარხლე, ყველანი ზომიერები არიან; სვიაჟსკში—მემამულეებმა—ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი—კადეტი და „ყაზანის საერობო გაზეთ"-ის რედაქტორის თანაშემწე; სვიანცვანსკის მაზრიდან სვირში მემამულეებმა აირჩიეს ორი ქნეზი, გლეხი და აზნაური; დისნის მაზრის წვრილ მემამულეთ აირჩიეს 2 ქნეზი, 6 აზნაური, 3 სხვა წოდებისანი; ლოხვიცში რწმუნებულებათ—ვოლოსტის მწერალი, ორი სოფლის მწერალი, 16 კაზაკი, 11 გლეხი; ბრიანსკი მაზრის მემამულეებმა—თავად-აზნაურთა ყოფილი წინამძღოლი ტენიშევი, ორიოლის ბანკის გამგეობის თავმჯდომარე რემერი, გამგეობის თავმჯდომარე ლუკაშევი. მარშალ ნამეთვი გლუხოვი და ომსკის უფროსი აზაროვი; ტრუბჩევის მაზრის მემამულეებმა—მარშალი კორშნიაკოვი და მღვდელი. დმიტრიევსკი მაზრაში აირჩიეს მარშალი გასობი და ერთი გლეხი.

პეტერბურგი. ქალაქებიდან აირჩიეს ტამბოვში 5 ამომრჩეველი—ყველანი კადეტებია; მადინის მაზრის ქალაქ მიატლევის წვრილმა მემამულეებმა აირჩიეს 5 მღვდელი, 3 მეშჩანი, 16 გლეხი. მაზრის მემამულეთა კრებაზე ბენდერში აირჩიეს მარშალი, მღვდელი და ორი გლეხი; მოლოკაში აირჩიეს გუბერნიის მარშალი თ. შახოვსკი, რომელიც ალბათ სათათბიროს წევრად მოხვდება. რეველში 14 ქარხანა-ფაბრიკებში 11-მა მოახდინა არჩევნები. არჩევნებში ორი უკიდურესი მემარცხენეა.

ზუგდიდი. მოვიდა გენ.-გუბერნატორი ალიხანოვი ერთი სოტნა დრაგუნებით. ქალაქი დიდის ამბით მიეგება ალიხანოვს, სთხოვა მისი ერთგულ-ქვეშევრდომული გრძნობები წარუდგინოს მისის უდიდებულესობის ფერხთა წინაშე და ეშუამდგომლოს ზუგდიდში რეგულიარულ ბატალიონის დანიშვნაზე.

ანდრეევი. ნაშუადღევს ანდრეევსა და მითაისვს შორის დომარჩოვის გზაზე შეაიარაღებული ბოროტ გამზრახველნი დაეცნენ რკინის გზაზე ხარჯის ამკრეფს და 1000 მან. წაართვეს.

13 მარტი.

ნოვოჩერკასკი. წვრილ მემამულეთა კრებაზე აირჩიეს: ჩერკასკის ოლქში—ორი გლეხი, მეშჩანი, ინჟინერი, იჯარადარი; ცარსკოე სელოს მაზრაში—ორი ინტელიგენტი აგარაკის პატრონი, ორი გლეხი,—ამათში ერთი კადეტია და მეორე 17 ოქტომბრისტი; ხარკ. გუბერნიიდან სლავიანსკში—მღვდელი, 4 გლეხი, 17 ქალაქის განაპირა მცხოვრები; ლებედინში არჩეულთა უმეტესობა მესაკუთრე გლეხებია; სმოლენსკი გუბერნიიდან ბელიში—24 გლეხი, 10 მღვდელი, 4 მეშჩანი, ვაჭარი; გარასვირონის მაზრაში—5 კაცი მოწინავე მიმართულებისანი; არდათოვში—56 რწმუნებული; ამათგან ერთი საერობო გამგეობის წევრია, 4 მამასახლისი, დანარჩენები გლეხებია.

იარიცინი. ქალაქის კრებაზე აირჩიეს მოხელე უმაღლესი განათლებით—კადეტი.

სარაპული. ვოლოსტების რწმუნებულთ მაზრაში აირჩიეს ერთი ვაჭარი, 4 გლეხი, ერთ-ერთ ამორჩეულთაგანს მთელ ვოლოსტის განაჩენით ვალად დაედო თვითმმართველობისა და გლეხობის ინტერესების დამცველი იყოს უსათუოდ.

ნიკოლაევი. მუშებში არჩევნები ყველგან მოხდა, მიუხედავად აგიტაციისა და ბოიკოტის გამოცხადებისა. აირჩიეს ზომიერები და პროგრესისტები.

კადნიკოვი. ქალაქის კრებაზე აირჩიეს ვაჭრის შვილი—ვოლოგდის ქალაქის გამგეობის სეკრეტარი.

პეტერბურგი. პეტერბურგის საბირჟო კომიტეტმა სახელმწიფო საბჭოში ამომრჩევლად აირჩია ვაჭრობისაგან თავისი თავმჯდომარე პროზოროვი და ვოლგა-კამის ბანკის დირექტორი მუხინი, მრეწველობისაგან - პუტილოვის ქარხნების გამგეობის დირექტორად ნამყოფი სმირნოვი და მელიავი, თავმჯდომარე „პეტრე ბელიაევისა და მემკვიდრეების" ამხანაგობის საბჭოს თავმჯდომარე. საბირჟო კომიტეტი აცნობებს ამომრჩეველთა კრებას, ვაჭრობისა და მრეწველობისაგან სახელმწიფო საბჭოს წევრების ამორჩევა 13 მარტისთვის არის დანიშნული.

ოსტროვი. აირჩიეს 2 აზნაური, 6 მღვდელი, ვაჭარი, 2 მამასახლისი და 75 გლეხი.

მაკარიევი. აირჩიეს სორმოვოს ყოფილი მუშა და გლეხი.

ჩისტოპოლი. წვრილ მემამულეთა კრებაზე აღმოჩნდა, რომ გლეხებსა და მღვდლებს შორის ძლიერ გამწვავებული ყოფილა დამოკიდებულება. აირჩიეს 30 გლეხი და 1 აზნაური.

ვორონეჟი. მაზრიდან ქალაქის კრებაზე აირჩიეს დოქტორი და ინჟინერი—ორივე კადეტი.

სტარიცა. ვოლოსტებმა აირჩიეს 5 გლეხი—17 ოქტომბრისტი.

სმოლენსკი. მთელს გუბერნიაში არჩევნები დასრულდა. ვოლოსტებმა და სამღვდელოებამ აირჩიეს რწმუნებულები. დიდი უმეტესობა პარტიის გარეშე მდგომნი არიან, კადეტების მომხრენი ცოტანი. სმოლენსკში კრების დროს ამომრჩეველთა მოთხოვნით დაიჭირეს ნოქარი, რომელიც აგიტაციას ეწეოდა გლეხებში.

მოსკოვი. ბოგოროდსკი მაზრიდან ამომრჩევლად აირჩიეს შინა მრეწველი, მოსკოვის მაზრიდან—ვოლოსტის მამასახლისი, ზვენიგოროდსკიდან 2 მიწის მუშა,—ყველანი ზომიერები არიან.

პეტერბურგი. გრაფ იგნატიევის კომისიის სხდომა განსაკუთრებულ კანონდებულებათა შესახებ 14 მარტს მოხდება. ამ სხდომაზე დაასრულებენ პროექტს პოლიციისა და ადმინისტრაციის უფლებებისას ნორმალურ დროს.—გამოქვეყნდა ბრძანება სინოდისადმი იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა აირჩიოს სამღვდელოებამ წევრები სახელ. საბჭოსთვის. პოლუსტროვსკის ნაწილის წვრილ მემამულეთა კრებაზე აირჩიეს 13 რწმუნებული, ამათგან ორი 17 ოქტომბრისტია. 1 ვაჭარ-მრეწველთა პარტიის წევრი, 1 რუსის ხალხის კავშირისა, 8 პარტიებს გარეშე მდგომნი და 1 უფლებრივ წესრიგის.

ვორონეჟი. ქალაქის ამომრჩევლებად აირჩიეს დოქტორი და ინჟინერი—ორივე კადეტი.

სიმფეროპოლი. ქალაქიდან ამომრჩევლებად აირჩიეს საგუბერნიო ერობის ხმოსანი თ. ობოლენსკი, „უაზნ კრიმა"-ს რედაქტორი ნაფიცი ვექილი სკონინი. გლეხებმა ამომრჩევლებად აირჩიეს 7 კაცი—3 მამასახლისი ვოლოსტისა, ვოლოსტის მწერალი, სოფლის სტაროსტა, ეკლესიის დარაჯი და გლეხი. ყველა ზომიერებია, ერთის გარდა.

ყირიმი. გუბერნიიდამ აირჩიეს მაზრის მარშალი და საერობო უფროსი.

პეტერბურგი. სევასტოპოლში აირჩიეს 2 კადეტი, ვენევში მაზრის მარშალი და მაზრის ერობის გამგეობის თავმჯდომარე, ხარკოვის მაზრის ყველა ვოლოსტებისაგან 1 გლეხი, უფაში—2 ნაფიცი ვექილი. 3 მემამულე, 1 დამზღვევ საზოგადოების აგენტი—ყველანი კადეტებია; სიმფეროპოლში—2 კადეტი, პერმში—ბევრი მღვდლებია, უმეტესობა გლეხები—არიან აგრეთვე მოხელეებად ნამყოფნი, ერობის კაცნი და მასწავლებლები.

პეტერბურგი, ოფიციალური. მინისტრთა საბჭომ მიანდო მინისტრებსა და მთავარ-გამგებელთ შეადგინონ გეგმა მათის მომავალის მოქმედებისა, რათა, მინისტრთა საბჭოს განხილვის შემდეგ, ამ გეგმების მიხედვით შეუდგნენ კანონპროექტების შედგენას, რომელნიც სახელმწიფო საბჭოში უნდა წარადგინონ. ამ მინდობილობის ასასრულებლად ფინანსთა მინისტრმა წარუდგინა საბჭოს გადასახადების პროგრამის პროექტი. რუსეთი მძიმე ისტორიულს ეპოქას განიცდის. აუარებელ სამხედრო ხარჯმა, მოუსავლობამ ცენტრალურ გუბერნიებში და არეულობამ, რომელიც განზრახ იმისკენ იყო მიმართული, რომ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა შეერყია, ძალა გამოაცალეს მცხოვრებთ და დაარიბეს ისინი. ამასთანავე დროს სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის საქმის ჯეროვან კალაპოტში ჩაყენება დიდს შრომას წარმოადგენს.—ამისათვის საჭიროა ეხლა შემონახულ იქნას გაუდებელი ხარჯი, გადაიდოს სასარგებლო, მაგრამ აუცილებლად საჭირო და შეწყვეტილ იქნას ზედმეტი ხარჯი. ეს საქმე სათათბირომ უნდა ითავოს, რომელიც სრულს დახმარებას გაუწევს ფინანსთა სამინისტროს. თუ, ერთის მხრით, საჭიროა გასავლის შემცირება, მეორე მხრით უნდა გადიდდეს იგი ასეთ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, როგორიცაა დაწყებითი განათლება ხალხისა და სოფლის მცხოვრებთა ყოფა ცხოვრების მოწყობა. თავდასხნილ გადასახადის მოსპობამ სახელმწიფოს 70 მილიონი მან. მოაკლო. ამ დანაკლისის შესავსებად და ახალ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭიროა შემოსავლის ახალი წყაროები. ამ წყაროებს ჩვენში გადასახადის ხასიათი უნდა ჰქონდეთ, უმეტესად. ამის გამო ფინანსთა სამმართველოს მიზანია, ახლავე შეამციროს ზოგიერთი ხარჯი. ამ რეფორმისთვის უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ პრინციპით, რომ გადასახადი თანასწორად იქნას გაწერილი და გადასახადის ტვირთი შეუმსუბუქდეს მცხოვრებთა ღარიბ ნაწილს. მინისტრის აზრით, უწინარეს ყოვლისა უნდა გადახედულ და გადაკეთებულ იქმას ადგილ-მამულზე გადასახადის წესი და თანასწორად გაიწეროს იგი სხვა და სხვა ადგილებს შორის; უნდა გაუმჯობესებულ იქმნას აგრეთვე წესი გადასახადისა ქალაქის უძრავ მამულებიდანა და მემკვიდრეობიდან, დაწესდეს პროგრესიული გადასახადი, რაც არა პირდაპირ გადასახადს შეეხება, ის ძალაში უნდა დარჩეს, მიუხედავად ზოგიერთ ეკონომისტის კრიტიკისა, ვინაიდან მისი მოსპობა, უსათუოდ შეარყევს სახელმწიფო ბიუჯეტის საქმეს.—განზრახულია, მოუმატონ თამბაქოს აქციზს, ბაჟი დაადონ ელექტრონის ენერგიასა და გაზს, რომელთაც განათებისათვის ხმარობენ და შემოიღონ გადასახადი ქაღალდზე.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 16 მარტს, შუადღის 12 საათზე, ქალაქის გამგეობის დასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით: 1) ქალაქის მიწა I სამოლ. ნაწილში, ზომით 3 დესეტ. 1748 ოთხკუთხი საჟ. ქვიშის და სხვა მასალის მოხმარების უფლებით; 2) ქალაქის მიწა ანდრეევის ქუჩაზე, ზომით 450 ოთხკუთხი საჟ. შეშის საწყობის გასამართავად და 3) ბინა და უფლება საჩაის გასამართავად ქალაქის საქონლის ბაზში. მსურველთ შეუძლიათ გაიცნონ ყველა პირობები გამგეობის მეოთხე განყოფილების კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 მდე. (6. 2—2)

იყიდება

სახლი სამ სართულიანი ცამეტი ოთახით თავის სამზარეულოთი და სარდაფებით, ბანკის ვალია 3000 მანეთი. ადრესი: ავლაბარი, კარაკლისის ქ. № 8. მარიამ პოლოსოვისა. (1—111—2)

თანახმად 17 ოქტომბრის 1905 წლის სახელმძღვანელის მე-6 მუხლისა, რომელიც განმარტავს იმ პირთა სიების შედგენას, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში, ამით ვუცხადებ ყველა იმ პირთ, რომელთაც 11 დეკემბრის 1905 წლის უმაღლესის უკაზით მინიჭებული აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა გორის მაზრის მიწათმფლობელთა ყრილობაში, ე. ი. იმ მიწის მოიჯარადრეებს და მოურავებს მამულებისა, რომელთა ზედაც დადებულია სახელმწიფო საერობო გადასახადი (ზემსკი სბორი) არა ნაკლებ 15 მანეთისა წელიწადში და რომელნიც, მასთან ერთად, მოიჯარადრობენ ანუ მოურავობენ მამულს არა ნაკლებ ერთის წლისა, რომ იგინი იქნებიან შეტანილნი და აღნიშნულნი საარჩევნო სიებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განაცხადებენ პირადად, ანუ წერილობით თავიანთს სურვილს არჩევნებში მიღებისას. თავიანთის უფლების დასამტკიცებლად, აღნიშნულნი პირნი მოვალენი არიან წარმოადგინონ: მოიჯარადრეებმა—პირობის წერილები და და მოურავებმა—აგრეთვე პირობის წერილები ანუ ვექილობანი მამულის მოურავობისა (მე-7 მუხლი სახელმძღვანელოსი). პირობის წერილები და ვექილობა შეიძლება იქმნას წარმოდგენილი როგორც ასლნი, ისე მათი პირები, შემოწმებული ან ნოტარიუსის, ან პოლიციის მოხელის ანუ მომრიგებელ მოსამართლის მიერ. ზემოხსენებული განცხადებანი მიიღება გორის სამაზრო პოლიციის სამმართველოში ოცდა-ოთხ მარტამდე ამა 1906 წ. და თვით ამ უკანასკნელ დღესაც.

გორის მაზრის უფროსი კაპიტანი ლეონტიევი. (6. 3—2)

ტფ. ქალაქის გამგეობის

განცხადება

რადგან ამჟამად ქალაქში 2000 მეეზოვეზე მეტიც არის, რომელთა მოვალეობას შეადგენს მხოლოდ ღამით დარაჯობა და ქუჩა-ეზოების სუფთად შენახვა, ამიტომ სახლის პატრონთ და მათ მოურავთ ან მოიჯარადრეთ სრული შეძლება აქვთ ეზოებიცა და ქუჩებიც დაასუფთაონ ხოლმე და სისუფთავე მუდამ შეინახონ, რაც მათივე მოვალეობას შეადგენს, თანახმად 1898 წ. 5 ივნ. სავალდებულო დადგენილებებისა. ამიტომ ქალაქის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველა სახლის პატრონთ, ბეჯითად ადევნონ თვალ-ყური ქუჩებისა და ეზოების სისუფთავეს და თან აფრთხილებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხის გებაში მისცემს ყველა იმათ, ვინც ამ სავალდ. დადგენილებათ დაარღვევს. ეზოებისა და ქუჩების სისუფთავე ახლა ძალიან საჭიროა, რადგან დათბა და მოსალოდნელია სხვა და სხვა გადამდებ სენის გავრცელება. ამასთანავე გამგეობა მოაგონებს სახლის პატრონთ, რომ ქუჩის დაგვა სასტიკად აკრძალულია ღამის 12 საათამდე და დილის 8 საათიდან, ხოლო ნაგვის გადაყრა ნებადართულია მხოლოდ დანიშნულს ადგილებში. ყველა ცნობები, რომელიც შეეხება ამ სავალდებ. დადგენილებათ და, საზოგადოთ, ქუჩა-ეზოს დაწმენდის საქმეს, შეუძლიათ მსურველებმა მიიღონ გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში რწმუნებულებისაგან (ასსენიზაციის ნაწილი). (6. 2—2)

ქალაქის გამგეობა

იწვევს ყველა სახლის პატრონთ „ვაკე"-უბნისას, რომელთაც ჰსურთ თავიანთი ადგილები ქალაქის საზღვრებში მოაქციონ გამგეობის პირობების თანახმად, მიბრძანდნენ ტფ. სათავად-აზნ. გიმნაზიის შენობაში (იქვე, ვერაზე), სადაც ყოველ დღე ერთის კვირის განმავლობაში, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 5-მდე, სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტი ბ-ნი ფურცელაძე ჩამოართმევს აღნიშნულ სახლის პატრონთ ხელწერილს მათს თანხმობაზე. (6.2—2)

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართ. ამხ."-სა. კუკის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 372.